მგოსანი ბიულის ხეოვრები

რუნული დედნიდან თარგმნა

ჭეშმიტან გრეიხჟეშმა

კომენტარები და ტრთი

ალეშას ლამბლოლოშმა

წინასიტყვაობის, შენიშვნების
და ილუსტრაციების ავტორია

ჯ. კ. როულინგი

☆ ☆ ☆

children's
HIGH LEVEL GROUP



ჯოან კ. როულინგი

ᲔᲒᲝᲡᲐᲜᲘ ᲬᲘᲓᲚᲘᲡ ᲬᲚᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ინგლისურიდან თარგმნა
ამმროსი მაღლაკელიძემ

მგლსანი პიოლოის ხოაჭრეები

First published in Great Britain in 2008 by the Children's High Level Group, 45 Great Peter Street, London, SW1P 3LT, in association with Bloomsbury Publishing Pic, 36 Soho Square, London, W1D 3QY
Text and illustrations copyright © 2007, 2008 J. K. Rowling

The Children's High Level Group and the Children's High Level Group logo and associated logos are trademarks of the Children's High Level Group.

The Children's High Level Group (CHLG) is a charity established under English law. Registered charity number 1112575

J. K. Rowling has asserted her moral rights

All rights reserved. No part of this publication may be reproduced or transmitted by any means, electronic, mechanical, photocopying or otherwise, without the prior permission of the publisher

ISBN 978-0-7475-9987-6 (ორიგ.)

ქართული თარგმანი © მაღლაკელიძე ამბროსი

ყველა უფლება დაცულია.

მგოსანი შიულის ხეობაში

შინაარსი

- წინასიტყვაობა
- ჯადოქარი და ხეტონია ქოთანი
- კომენტარი
- იუმლის შადრევანი
- კომენტარი
- ჯადოქრის მალნიანი გული
- კომენტარი
- ნაცარა–ცანცარა და მისი მოხითხითე კუნძი
- კომენტარი
- საამი ძმის ამმაკი
- კომენტარი

მგოსანი ბიდლის ზღაპრები

წინასიტყვაობა

„**მგოსანი ბიდლის ზღაპრები“** - ახალგაზრდა ჯადოქრებისა და მისნებისთვის განკუთვნილი ზღაპრების კრებულია, რომელმაც საუკუნეების მანძილზე დიდი აღიარება ჰპოვა, როგორც ძილისწინ საკითხავმა ზღაპრების კრებულმა, სწორედ ამან განაპირობა ჰოგვორტსის მოსწავლეებში „ხტუნია ქოთნისა“ და „იღბლის შადრევნის“ ჯადოსნურ ამბავთა ისეთივე პოპულარობა, როგორითაც ზღპრები - „კონკია“ და „მძინარე მზეთუნახავი“ მაგლ (არაჯადოქარ) ბავშვებში.

ბიდლის ზღაპრები ჩვენს ჯადოსნურ ისტორიებს გარკვეული თვალსაზრისით ჩამოჰგავს, მაგალითად, ღირსება ყოველთვის ფასდება, უზნეობა კი - ისჯება. თუმცა, თვალში გვხვდება ერთი აშკარა განსხვავება: მაგლურ-ჯადოსნურ შემოქმედებაში, ჩვეულებრივ, ნებისმიერი უსიამოვნების სათავე თავად ჯადოქრობაა. გულღრძო კუდიანი პირმშვენიერ მზეთუნახავს აჩეჩებს მოწამლულ ვაშლს, თუგინდ აძინებს საუკუნოდ, ანდა მომხიბლავ უფლისწულს აქცევს ამაზრზენ არსებად. „მგოსანი ბიდლის ზრაპრებში“ კი მთავარი გმირები თავადვე ფლობენ მაგიას. მიუხედავად ამისა, მათთვისაც ისევე რთულია პრობლემების გადაჭრა, როგორც მაგლი კოლეგებისთვის. კიდევ ერთ თვალშისაცემ განსხვავებად

მგოსანი ბიდლის ზღაპრებში

გვევლინება მგოსნის ჯადოქარი პერსონაჟები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ქმედითუნარიანობით. ეიშა, ალთიდა, ამატა და ნაცარა-ცანცარა - ისინი თავად აბრუნებენ თავიანთი ბედისწერის ბორბალს. სულაც არ სძინავთ საუკუნო ძილით ან როდი არიან იმის მოლოდინში, რომ ვინმე დაკარგულ ფეხსაცმელს უკან მოართმევს (როგორსაც, ჩვეულებრივ, მაგლურ ზღაპრებში გადააწყდება ხოლმე მკითხველი). აუცილებლად მივიჩნევთ ორიოდე სიტყვის თქმას კრებულში დაშვებულ გამონაკლისზეც, უსახელო ქალიშვილის შესახებ ზღაპრიდან *„ჯადოქრის ბალნიანი გული“*. მისი ქცევა თამამად მოგვაგონებს ჩვენთვის კარგად ცნობილი მაგლი მეზღაპრეების მზეთუნახათა ქცევას, ამიტომ ზღაპრის კეთილი ბოლო - *„ჭირი იქა, ლხინი აქა“* - ამ უკანასკნელისთვის, სამწუხაროდ, გარდამავალია.

მგოსანი ბიდლი მე–15 საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი ცხოვრების დიდი ნაწილი საიდუმლოებითაა მოცული. თუმცა, ცნობილია, რომ ის ქვეყნიერებას იორკშირში მოევლინა, და თუკი ვიმსჯელებთ ხის იმ ერთადერთი გრავიურით, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მეზღაპრე არცვეულებრივად ხშირი წვერის პატრონი ყოფილა. „მგოსანი ბიდლის ზღაპრებში“ წარმოდგენილი ავტორის პირადი შეხედულებების სიმართლეში ტუკი დავრწმუნდებით, მაშინ აშკარად იკვეთება მისი დადებითი დამოკიდებულება მაგლური საზოგადოების მიმართ. ის არაჯადოქარ ადამიანებს მეტწილად უვიცად მიიჩნევდა, ვიდრე არაკეთილმოსურნედ;

აღსანიშნავია, რომ მეზღაპრე არამც და არამც არ აღიარებდა *„შავ მაგიას“* და დარწმუნებული იყო კიდეც, რომ ჯადოქართა ჩამმავლობაში გამობრძმედილი ყოველი უბედურების მიზეზს ადამიანის უარყოფითი თვისებები: გულგრილობა, ამპარტავნება და საკუთარი ნიჭის ამაოდ განიავება განაპირობებდა. მგოსნის შემოქმედებაში არა ყოვლისშემძლე, არამედ კეთილგონიერი და გამჭრიახი ჯადოქრები ზეიმობენ.

ბიდლის ამგვარ შეხედულებებს არაერთი თანამედროვე ჯადოქარი იზიარებს. მათ შორის, ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდორი, მერლინის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, მაგიისა და ჯადოქრობის სკოლა ჰოგვორტსის დირექტორი, ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის პრეზიდენტი და ვიზენგამოტის ჯადოქართა უზენაესი სამსჯავროს უფროსი. ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, როდესაც ჰოგვორტსის არქივში, აუარება ქაღალდებს შორის გადააწყდნენ „მგოსანი ბიდლის ზღაპრების“ პირად შენიშვნათა კრებულს. შედგენილი იყო თუ არა ეს უკანასკნელი საკუთარი სიამოვნებისთვის, ანდა სამომავლო გამოცემისთვის, სამწუხაროდ, ამას ვერასოდეს შევიტყობთ. ყოველ შემთხვევაში, პროფესორი მინერვა მაკგონაგელი, ჰოგვორტსის ამჟამინდელი დირექტორი, უყოყმანოდ დაჰყაბულდა ბიდლის ზღაპრების ხელახალ თარგმნას, რაც ჰერმიონ გრეინჯერმა ითავა, და პროფესორ დამბლდორის კომენტარების თანდართვით მის პუბლიკაციას. იმედს ვიტოვებთ, რომ პროფესორ დამბლდორის მიერ არამაგლურ ისტორიაზე წარმოებული დაკვირვებანი, მოგონებანი და, ამავდროულად, კრებულის თითოეული ზღაპრის საკვანძო მომენტის ძირეული და ჭეშმარიტი განმარტებანი, უდავოდ გაუმართავს ხელს ჯადოქრებისა თუ მაგლი მკითხველების ნორჩ თაობას, „მგოსანი ბიდლის ზღაპრების“ სწორად შეფასებასა და

გათავისებაში. ყველა, ვისაც კი ჰქონდა პროფესორ დამბლდორის პირადად გაცნობის საშუალება, დარწმუნებულია, რომ ის დიდი სიამოვნებით დაუჭრედა მხარს მიმდინარე პროექტის სისრულეში მოყვანას, რადგან მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა საქველმოქმედო ფონდს *"Children's High Level Group"*, რომლის მთავარი მიზანი მზრუნველბასმოკლებული ბავშვების ცოვრების დონის გაუმჯობესებაა.

აუცილებელია პროფესორ დამბლდორის შესახებ მცირედი შენიშვნის გაკეთება: როგორც ცნობილია, მან კრებულში შესული ზღაპრების კომენტარებზე მუშაობა ჰოგვორტსის ასტრონომიულ კოშკში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევამდე ნახევარი წლით ადრე დაასრულა. მკითხველები, რომლებსაც კარგად მოეხსენებათ ჯადოქართა სამყაროს უახლესი ომის შესახებ (ანუ ისინი, ვინც *ჰარი პოტერის* შვიდტომეული წაიკითხა) თვალნათლივ გააცნობიერებენ, რომ პროფესორი კრებულის ბოლო ზღაპრის (*„სამი ძმის ამბავი"*) კომენტარში ბევრს არაფერს გვამცნობს. შესაძლოა, ამ ფაქტს ახსნა მოუძებნოს იმ სიტყვებმა, წლების წინათ, თავის სახელგანთქმულსა და საყვარელ მოსწავლეს რომ უთხრა:

- „სიმართლე - უმშვენიერესი, ამავდროულად კი უასშინლესი რამაა, ამიტომ განსაკუთრებული სიფაქიზითა და წინდახედულობით უნდა მოვეპყრათ მას".

რასაკვირველია, სავსებით შეგვიძლია პროფესორ დამბლდორის სიტყვებს არ დავეთანხმოთ, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ რიგში, სწორედ მას უნდა დაეცვა მომავალი მკითხველები მზაკვრული საცდურისგან, რომლის

მგოსანი პიტერის ხეოპრები

მსხვერპლიც თავად გახდა, რის გამოც საშინელი საზრაური იწვნია კიდეც.

ჯ. კ. როულინგი

2008 წ.

შენიშვნა სქოლიოებზე

პროფესორ დამბლდორს ჯადოქართა საზოგადოებისთვის უნდა წარედგინა თავისი კომენტარები, ამიტომ თავს ნება დავრთე, დროდადრო სქოლიოს სახით განმემარტა ზოგიერთი ტერმინი თუ ფაქტი, რომელიც შესაძლოა გაურკვეველი ყოფილიყო მაგლი მკითხველებისთვის.

- ჯ. კ .რ . –

მგოსანი შიდლის ხეივრებში

მგოსანი
შიდლის
ზღაპრებში

მგოსანი შიულის ხეოჭრეები



ჯადოქარი და ხეტნია ქოთანი

Oყო და არა იყო რა. ქვეყნად ცხოვრობდა ერთი კეთილი, მოხუცი ჯადოქარი, რომლის ჩვეული კეთილშობილებითა და სულგრძელობით სარგებლობდნენ მეზობლები - ის არავის ეუბნებოდა უარს დახმარებაზე, თუმცა, მოხუცი ჭეშმარიტი ჯადოსნობის გამჟღავნების სანაცვლოდ, თვალთმაქცობდა და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს შხამსაწინააღმდეგო საშუალებები თავისით ჩნდებოდა ჯადოსნურ ქვაბში, რომელსაც "ბედნიერების კარდალას" უწოდებდა. ყველასათვის საყვარელი ჯადოქარი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა. ის ღრმად მოხუცი მიიცვალა და თავისი ქონებაც ერთადერთ ვაჟს გადაულოცა. შვილს, მამისგან განსხვავებით, სულ სხვა ხასიათი ჰქონდა: მისი აზრით, ვისაც ჯადოქრობა არ შეეძლო, ის უხეირო და უღირსი არსება იყო. ამის გამო, ვაჟს მამასთან ხშირად მოსდიოდა კამათი - სასტიკად არ მოსწონდა, როცა მშობელი მამა ჯადოსნური წეს-ჩვეულებებით "უხვად" ეხმარებოდა მეზობლებს. მამის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრემ სამზარეულოს ქოთანში შემთხვევით იპოვა პატარა ფუთა, რომელზეც თავისი სახელი ეწერა.

მგოსანი პიულის ხეობაში

ოქროს აღმოჩენის იმედით მან გახსნა შეკვრა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ოქროს ნაცვლად ხელში სახლის ციცქნა, ფუმფულა კენტად დარჩენილი ფლოსტი შერჩა. ფლოსტში პერგამენტის ნაგლეჯი იდო, შემდეგი წარწერით:

"- იმედს ვიტოვებ, შვილო, რომ ეს შენ არასოდეს დაგჭირდება."

ვაჟი გაცხარდა მამის საქციელზე და ეული ფლოსტი უკან, ქოთანშივე მოისროლა და მამისეული სამზარეულოს ქოთნის სანაგვე ურნად გამოეყენებინა გადაწყვიტა. იმავე საღმოს ვაჟის სახლის კარს მოხუცი გლეხის ქალი მოადგა.

"- ჩემო ბატონო, ჩემი შვილიშვილი მეჭეჭების გამო იტანჯება, - თქვა მოხუცმა ქალმა. - მამათქვენი კი გვეხმარებოდა და სამზარეულოს ძველ ქოთანში სამკურნალო ნაყენს გვიმზადებდა."

"- აქედან დამეკარგე!"- დაუღრიალა ვაჟმა."- მე რა საქმე მაქვს თქვენი ჯილაგის მეჭეჭებთან?" - და საბრალო მოხუცს კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

ეს იყო და ეს, რომ სამზარეულოდან უცნაური წკარუნ-რახუნის ხმები მოისმა. თავხედმა "მასპინძელმა" ჯადოსნური ჯოხი აღმართა, სამზარეულოს კარი შეაღო და რას ხედავს: მამისეულ ძველ ქოთანს თითბრის ცალი ფეხი გამოზრდოდა, რომელიც შემაძრწუნებელ ხმას გამოსცემდა სამზარეულოს ქვებით მოკირწყლულ იატაკზე. ახალგაზრდა ჯადოქარი გააოგნა ამ სურათის ხილვამ. ხტუნია ქოთანთან მიახლოვებაც კი დააპირა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქოთანი გულისამრევმა მეჭეჭებმა მიმოფარა, იმ წამსვე გადაიფიქრა.

-"ფუჰ, რა საზიზღრობაა!"- ღრიალებდა ვაჟი და ყველა ჯადოქრულსა თუ არაჯადოქრულ ხერხს იყენებდა, რათა დაემორჩილებინა საძულველი ქოთანი, მაგრამ ამაოდ.

სამზარეულოს ძველი ქოთანი ისევე კვალდაკვალ აედევნა ახალგაზრდა ჯადოქარს, როგორც დაღარულ კიბეებზე ასვლისას. თითოეულ საფეხურთან შეხებისას ამაზრზენსა და ჟრუანტელის მომგვრელ ხმებს გამოსცემდა, რის გამოც ვაჟი მთელ ღამეს თვალის მოხუჭვას ამაოდ ცდილობდა. დილით კვლავაც კუდში ამოუდგა და ყმაწვილს შვრიის ფაფის მომზადებაც კი არ გაევლო გულში, რაწამს მაგიდის გარშემო შეუდგა ხტუნვას და ამ ორომტრიალში კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ამჯერად კარის ზღურბლს დაჩაჩანაკებული მოხუცი კაცი მოსდგომოდა.

"- ჩემო ბატონო, უბედურება დამატყდა თავს"- ამოიხავლა მან."- ერთადერთი ვირი დავკარგე, შესაძლოა, მომპარეს კიდეც. მის გარეშე კი ვერსად წავალ და ჩემი ოჯახიც ულუკმაპუროდ დარჩება."

-"იცი, მე ახლაც მშიერი ვარ!"- შეჰყვირა ვაჟმა და ამ მოხუც კაცსაც კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

ახლა წკრიალის, წკარუნისა და ჟღარუნის ხმები მოისმა. თითბრისფეხიანი ქოთანი უხერხულად ბორძიკობდა მოფილაქნებულ იატაკზე და ვირის ყროყინისა და მშიერი ადამიანის ამოოხვრის ხმებს გამოსცემდა.

"-გაჩუმდი! ხმა გაკმინდე!"- ღრიალებდა ახალგაზრდა ჯადოქარი. ვაჟის ყოველი მცდელობა, ქოთის განადგურებისა, ისევდაისევ ამაო იყო. სადაც კი გასწევდა, რა თქმა უნდა, უკან ქაოსური ხმების გამომცემი სამზარეულოს ძველი ქოთანი დაჰყვებოდა.

იმავე საღამოს კარზე მესამედ დააკაკუნეს. ახლა ზღურბლზე გულსაკლავად მომტირალი გლეხის ახალგაზრდა ქალი იდგა.

"-ჩემო ბატონო, ბავშვი მყავს ავად,"- ამოიკვნესა ქალმა."- შეგიძლიათ ჩვენი დახმარება? მამათქვენმა ადრე მითხრა, რომ გაჭირვების შემთხვევაში აუცილებლად დამეხმარებოდა."

ჩვენდა სამწუხაროდ, გლეხის ქალმაც ისეთივე "მოწყალება" მიიღო ახალგაზრდა ჯადოქრისგან, როგორიც მისმა წინამორბედებმა.

ეს მოხდა და მწვალებელი ქოთანიც პირთამდე აივსო მარილიანი წყლით, რომელიც პირდაპირ იატაკზე იღვრებოდა, წუწავდა იქაურობას და, რომელსაც თან ერთვოდა ამაზრზენი ხმები ვირის ყროყინისა თუ გაჭირვებული და მშიერი ადამიანის ამოოხვრისა. სანახაობას ერთი-ორად ამძაფრებდა ახლადამოსული ურიცხვი მეჭეჭების გულისამრევი შესახედაობა.

შემდგომ ამისა, ახალგაზრდა ჯადოქართან სოფლელებს დახმარებისთვის აღარ მიუმართავთ, მიუხედავად ამისა, მამისეული ქოთანი მაინც ატყობინებდა იმას, თუ ვის უჭირდა, ვის ულხინდა... ყოველივე ეს კი ქოთანზეც აისახებოდა ხოლმე: ძველი, ამაზრზენი ხმების გარდა, ხვრინვისა და ბავშვის გაბმული ზლუქუნის, ხრჩობისა და მოქანცული ძაღლის ქელვის ,ანდა ამჟავებული ყველის გადმოფურთხების ხმები შეემატა. ქოთანი მშიერი ლოქორასავით ფართხალებდა.

ვაჟს უკვე აღარ შეეძლო საძულველ ქოთანთან თანაცხოვრება და ერთ დღეს, შუაღამისას გაიქცა კიდეც სახლიდან (რა თქმა უნდა, ქოთნიანად). ახალგაზრდა ჯადოქარი გამეტებით გაიძახოდა:

"-მოდით ყველანი ჩემთან, თქვენ-თქვენი გასაჭირითურთ .მე ყველას განგკურნავთ და დაგეხმარებით." - ქოთანი კი ხტუნვა-ხტუნვით გარბოდა სოფლის შარაგზაზე და მოხერხებულად იცილებდა უკან ადევნეული ვაჟის ნატყორცნ აუარება შელოცვებს.

მგოსანი პიულის ხეოპრეები

"- მოდით ყველანი ჩემთან, - ვაჟი არ ცხრებოდა."- მამაჩემისგან მერგო ჯადოსნური ქოთანი, რომლითაც ყველას დაგეხმარებით."



და აი, მოულოდნელად, ერთ-ერთ სახლში, მძინარე გოგონას მეჭეჭები სრულიად გაუქრა. ვირი, რომელიც დაკარგული იყო, დაბრუნდა საკუთარ თავლას, ასკილის ბუჩქის შორე-ახლოს. დასნებოვნებული ბავშვიც სრულიად გამოჯანმრთელდა და დილით ლოყებღაჟღაჟამ, ჯანმრთელად გაახილა თვალები. ვაჟი გამეტებით ცდილობდა თითოეული გაჭირვებულის დახმარებას, ქოთანი კი ნელ-ნელა ცხრებოდა და სუფთავდებოდა.

"- მოგეწონა, ქოთანო?"- მიმართა არაქათგამოცლილმა ახალგაზრდამ განთიადის ჟამს მამისეულ ქონებას. ქოთანმა კი პასხუს ნიშნად ერთადერთი ფუმფულა ფლოსტი ამოაბმოყინა, რომელიც ზუსტად მოერგო თავის ცალ თითბრის ფეხს.

ჯადოქარი და ქოთანი ერთად დაბრუნდნენ შინ. ამ დღიდან

მგლსანი პიტლის ხეებრეში

მოყოლებული, ვაჟი, როგორც მამამისი, პატიოსნად ეხმარებოდა თითოეულ სოფლელს, მაგრამ გულის სიღრმეში კი შიში ჰქონა იმისა, ქოთანს ოდესმე ისევ არ განეახლებინა ამაზრზენი ხმების გამოშვება.

ალბეს დამბლდორის

კომენტარი "ჯადოქარი და სტენია ქოთანზე"

კეთილმა მოხუცმა ჯადოქარმა გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა თავისი უგულო ვაჟიშვილისთვის, რისთვისაც მან შვილს აიძულა საკუთარ თავზე გამოეცადა სამეზობლოში მცხოვრები მაგლების გაჭირვება. ბოლოს და ბოლოს, ყმაწვილი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და დათანხმდა გაჭირვებული და კარსმომდგარი, მაგიაში გაუთვითცნობიერებული მეზობლების დახმარებას.

მარტივი და კეთილი - ამგვარად იფიქრებთ ამ ზღაპარზე და ამით კიდევაც დაამტკიცებთ თქვენს გულუბრყვილობასა და უბრალოებას. აშკარა კეთილგანწყობილება მაგლების მიმართ: მამა - მაგლთმოყვარე უფრო მაღლა დგას, ვიდრე მაგლთმოძულე ვაჟიშვილი. გასაკვირია, რომ ცეცხლში დაწვის მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, ამ ზღაპრის ორიგინალი ვარიანტის რამდენიმე ვერსია დღემდე შემორჩა. ბიდლი კი, რომელიც ყველას მოუწოდებდა ღვიძლი ძმასავით გვყვარებოდა მაგლები, რამდენადმე ჩამორჩა თავისი დროის წეს-ჩვეულებებს. XV საუკუნეში ჯადოქრებსა და ალქაჯებზე თვალყურის დევნება მთელ ევროპაში იკრებდა ძალას. ბევრი ჯადოქარი მიიჩნევდა (და არა უმიზეზოდ), რომ შელოცვებით მაგლი მეზობლის ღორის გამოჯანმრთელება ისეთივე

მგლსანი შიულის ხლაჭრეები

რამ გახლდათ, როგორიც საკუთარი თავის გამანადგურებელი მწველი კოცონისთვის ფიჩხის შეგროვება[1].

"-დაე, მაგლებმა ჩვენ გარეშე არსებობა სცადონ!"-ამბობდნენ ჯადოქრები და სულ უფრო მეტად შორდებოდნენ არამაგიურ მოსახლეობას. ეს პროცესი გახდა 1689 წელს საერთაშორისო სტატუსის მიღების საბაბი ჯადოქართა სამყაროს გასაიდუმლოებაზე, სწორედ მაშინ, როდესაც მთელი მაგიური სამყარო ჩავიდა იატაკქვეშეთში.

მიუხედავად ამისა, ბავშვები მაინც რჩებიან ბავშვებად. მათ უცვლელად აღაფრთოვანებდათ ცელქი ხტუნია ქოთანი და ერთგვარად გამოსავალიც მოიძებნა: მაგლთა სასიკეთო მორალი მოშორებული იქნა ზღაპრიდან, ხოლო მეჭეჭებიანი ქოთანი - შენარჩუნდა.

ცნობილია, რომ XVI საუკუნის ბოლოს ჯადოქართა ოჯახებს შორის გავრცელებული იყო ზღაპრის განსხვავებული ვარიანტი, რომელშიც ხტუნია ქოთანი იცავს უდანაშაულო ჯადოქარს სოფლელების გამხეცებული ბრბოსგან, რომელიც მას ჩირაღდნებითა და სამკაპებით გამოუდგა. ქოთანი იჭერდა მათ და მუცელში უძახებდა. ზღაპრის ბოლოს, როდესაც ქოთანმა ჯადოქრის ყველა მოწინააღმდეგე მეზობელი გადაყლაპა, ცოცხლად გადარჩენილი ორიოდე მაცხოვრებელი ჯადოქარს ჰპირდება, რომ თავს დაანებებენ და მისცემენ გასაქანს, რათა გრძნეულებაში გათვითცნობიერებული, მაგიით დაკავდეს. ამ "დათმობის" გამო ჯადოქარი უბრძანებს ქოთანს დააბრუნოს გადაყლაპული მეზობლები, და ქოთანიც დაჰყაბულდება, აბრუნებს ბრბოს, ოღონდ ცოტათი შელახულს...

ჩვენს დრომდე მოყოლებულ ჯადოქართა ზოგიერთ ოჯახებში მშობლები(ჩვეულებრივ, ანტი-მაგლური განწყობით) უამბობენ თავიანთ შვილებს ამ ზღაპარს შეცვლილი სახით, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მისი წაკითხვა ხდება ორიგინალში, ეს მსმენელთათვის უკვე უდიდეს სიურპრიზად იქცევა ხოლმე. როგორც გატყობინებთ, პრო-მაგლური სიმპათია არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ "ჯადოქარი და ხტუნია ქოთანი" მიუღებლად მივიჩნიოთ.

ალქაჯებზე ნადირობა დროდადრო საშინელი სისასტიკის სახეს იღებდა. ჯადოქართა ოჯახები შენიღბულად იყენებდნენ ორმაგ ცხოვრებას, რათა საკუთარი თავის მსგავსად, ახლობლებიც დაეცვათ მაგლებისაგან.

XVII საუკუნიდან მოყოლებული, ნებისმიერი ალქაჯი თუ ჯადოქარი, რომელიც მეგობრობდა მაგლებთან,არამაგიურ მოსახლეობაში იწვდვდა ეჭვს და იდევნებოდა კიდეც . (სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა ისეთი ეპითეტები, როგორებიცაა "ცინგლიანი","მენეხვე","დორბლიანი"). საწყენ მეტსახელთა შორის, უკანასკნელ ადგილს, არც მაგიურ უძლურებაში დადანაშაულება ითვლებოდა.

---

[1] *სერ ნიკოლას დე მიმსი-პორმინგტონი (სიცოცხლდში სამეფო მაგი, ხოლო სიკვდილის შემდგომ გრიფინდორის ფაკულტეტის მოჩვენება. მას წაართვეს ჯადოსნური ჯოხი, რის გამოც ვერ მოახერხა სასიკვდილო დასჯამდე გაქცევა და თავის შველა. ჯადოქართა ოჯახები განსაკუთრებით ხშირად კარგავდნენ უმცროს ჯადოქარებს, რომლებაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ საკუთარ შესაძლებლობათა გამოყენება და სწორედ ამიტომ, მაგლების ჯადოქრებზე მონადირეთა მსხვერპლნი იოლადვე ხდებოდნენ.*

მგოსანი ბიდლის ხლაპრები

ამავე ეპოქის გავლენიანი ჯადოქრები და მათ შორის ანტი-მაგლური პერიოდული პუბლიკაციის *"მებრძოლი ჯადოქრის"* გამომცემელი მაგი ბრუტუს მალფოი უკვდავყოფდა აზრს იმის შესახებ, რომ მაგლთმოყვარენი არც ისე შორს არიან წასულები სქვიბების შესაძლებლობისგან[2].

1675 წელს ბრუტუსი წერდა:*"-ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით დავადასტუროთ: ყოველი ჯადოქარი, რომელიც მიილტვის არაჯადოქრული საზოგადოებისკენ და შემჩნეულია მათთან ურთიერთობაში, მაგიაში იმდენად უსუსურია, რომ მხოლოდ საკუთარ თავში შეუძლია ჯადოქრობით ამაღლება. სწორედ ესაა ნამდვილი მიზეზი არამაგიური უძლურებისა."* თანდათანობით ამ სასოწარკვეთასაც მოეღო ბოლო, რადგან ფაქტებს ვერ შეეკამათები: უამრავი ბრწყინვალე ჯადოქარი გახლდათ, როგორც იტყვიან, მაგლთმოყვარე[3].

"ჯადოქარი და ხტუნია ქოთნის" წინააღმდეგ მიმართულმა დასკვნითმა არგუმენტებმა ჩვენს დრომდეც მოაღწია. ეს ყველაზე უკეთ სამარცხვინო "სოკოშხამას ზღაპრების" ავტორმა, ბეატრიქს ბლოქსმა (1794-1910წწ.) გამოხატა. მისის ბლოქსის აზრით "მგოსანი ბიდლის ზღაპრები" მავნედ ზემოქმედებს ბავშვებზე, რადგან გამოირჩევა არაჯანსაღი ინტერესით ზედმეტად ბოროტი

[2] *სქვიბი - ჯადოქართა შთამომავალი, რომელსაც არ გააჩნია მაგიური შესაძლებლობანი. ჩვეულებრივ, გვხვდება იშვიათად. ძირითადად პირიქით ხდება, მაგლებს უჩნდებათ მაგიური შესაძლებლობებით დაჯილდოებულიშვილები.*

[3] *მათ შორის მეც მიგულეთ.*

თემებისადმი, როგორებიცაა: სიკვდილი, ავადმყოფობა, სისხლისღვრა, შავი მაგია, საზიზღარი პერსონაჟები თუ ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა უსიამოვნო გამონაყოფი.მისის ბლოქსმა დაამუშავა

მთელი რიგი ძველისძველი ზღაპრებისა, მათ შორის ბიდლის ზღაპრებიც, რომლებიც შემდგომ პირადი შეხედულების შესაბამისად გადაწერა. თავის დავალებას ქალბატონი შემდეგნაირად აღიქვამდა:

"- ჩვენი მშვენიერი ანგელოზების გონება შევავსოთ ნათელი და ბედნიერი აზრებით, რათა დავიცვათ მათი სპეტაკი სულები საშინელი სიზმრებისგან."

მისის ბლოქსის უბრალო და სასიამოვნო თხრობით ზღაპრის "ჯადოქარი და ხტუნია ქოთნის" საავტორო ვერსიამ ამგვარი სახე მიიღო:"...აქ კი ოქროს ქოთანი სიხარულისაგან ახტა-დახტა და მიწაზე ვარდისფერი ნაკვალევი დატოვა, ის შეუჩერებლივ ხტოდა. პატარა უილმა ყველა თოჯინა გამოაჯანმრთელა და მუცლის ტკივილისგან განკურნა. ოქროს ქოთანი უსაზღვროდ ბედნიერი იყო და უცებ, პირთამდე აივსო ნუგბარით, რომელიც დიდხანს ეყოფოდა როგორც პატარა უილს, ისე თოჯინებს. –„ოღონდაც, არ დაგავიწყდეს კბილების გამოხეხვა!“ -მიუგო ქოთანმა ბიჭს. პატარა უილმა გულში ჩაიკრა ქოთანი, მაგრად-მაგრად ჩაიხუტა და პირობა მისცა, რომ ყოველთვის კარგად მოიქცეოდა და თოჯინებსაც სანაქებოდ გაუფრთხილდებოდა."

ჯადოქართა ბავშვების რამდენიმე თაობაში მისის ბლოქსის ზღაპრები უკვე ერთსა და იმავე რეაქციას იწვევს: მათ ეწყებათ უკონტროლო ღებინება, რომელსაც ერთვის დაჟინებული თხოვნა, წაიღონ და ეს წიგნი სამუდამოდ გადამალონ.



იღლის შადრევანი

Oყო და არა იყო რა. ერთ შემაღლებულ გორაკ-ბორცვზე აზღუდული, მაგიით საიმედოდ დაცული გალავნის მიღმა მოჩუხჩუხებდა წარმატების მომტანი იღბლის შადრევანი.

წელიწადის ყველაზე გრძელ დღეს, მზის აისსა და დაისს შორის, ერთადერთ ადამიანს ჰქონდა შანსი, შეეღწია ჯადოსნურ ბაღში მორაკრაკე საუცხოო შადრევანთან. გაიბანავებდა რა მასში, მთელ ცხოვრებას ლაღად და ბედნიერად გალევდა. აღნიშნულ დღეს, მთელი ქვეყნიდან ათასობით ადამიანი იკრიბებოდა ამ ულამაზესი ბაღის გალავანთან. ქალები და კაცები, მდიდრები თუ ღარიბები, ახალგაზრდები და მოხუცები, მაგიაში განსწავლულები თუ განუსწავლენი, - ყველანი ერთად მოჯარულიყვნენ და ჯადოსნურ ბაღში შეღწევის დაუოკებელი იმედით იდგნენ ღამის ბინდ-ბუნდში.

აქვე გახლდათ სამი გრძნეული ქალი, თითოეული ცხოვრებისეული უბედურებით დატვირთული. ისინიც, როგორც სხვები, ელოდნენ მზის ამოსვლას და ერთმანეთის გაცნობასთან ერთად ჰყვებოდნენ თავიანთი ბედკრული ცხოვრების შესახებ.

პირველთაგანი, სახელად ეიშა, იტანჯებოდა მძიმე, განუკურნავი ავადმყოფობით. ის იმედოვნებდა, რომ იღბლის შადრევანი განკურნავდა და ხანგრძლივი, ბედნიერი ცხოვრებით დააჯილდოებდა. გრძნეულთაგან მეორე, ალთიდა, კი, რომელიც გაძარცვეს და გამოსძალეს დიდძალი ოქროულობა, ასევე ჯადოსნური ჯოხი და წაართვეს სახლიც, იტოვებდა იმედს, რომ იღბლის შადრევანი სიღატაკის გადაგორებაში დაეხმარებოდა. ხოლო სევდისა და მწუხარების გულიდან გადაყრის იმედი ამოძრავებდა საყვარელი ადამიანის მიერ მიტოვებულ, მესამე გრძნეულს, სახელად ამატას.

სამივე მწუხარებამ გააერთიანა და ამიტომ შეთახმდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, ერთად გაეკვლიათ გზა იღბლის შადრევნამდე.

როდესაც მზის პირველი სხივები ამოიწვერა და გარემო მკრთალმა ნათელმა გაანათა, გალავანზე გამოჩნდა ღიობი. ხალხმა მოლოდინისამებრ წინ მიაშურა. ისინი ყვიროდნენ და დაუფარავად მოთქვამდნენ თავიანთ გაჭირვებაზე. მცოცავი მცენარეები დაიკლაკნენ ,გამოსრიალდნენ ბაღის სიღრმიდან და დაიძრნენ გალავანთან მოჯარული ხალხისკენ. მოულოდნელად, მცენარე შემოესალტა გრძნეულთაგან პირველს, ეიშას. ეიშამ ხელი ჩაავლო ალთიდას, ის კი ამატას კაბას ჩაებღაუჭა. ამატას კაბა კი, თავის მხრივ, წამოედო იქვე მდგარი სევდიანი რაინდის მტკიცედ გამოწრთობილ აბჯარს. მაგიურმა მცენარეებმა იღბლის შადრევნის ბაღში შეისრუტა სამივე გრძნეული და საცეცების ძალით ცხენიდან ჩამოქვეითებული რაინდიც.

მგოსანი პილიის ხეივრები

მგლსანი შიდლის ხეტიალები

იმედგაცრუებულ ხალხს მრისხანე ხმები აღმოხდა, მაგრამ ამოდ - ღიობი მჭიდროდ დაიხურა და მასთან ერთად სიჩუმემაც დაისადგურა.

ეიშა და ალთიდა გაუბრაზდნენ ამატას, რომლის "წყალობითაც" მათთან ერთად აღმოჩნდა რაინდი.

"-მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს შადრევანში გაბანავების უფლება. ისედაც ძნელი იქნება ჩვენგან ერთის ამორჩევა და ახლა კიდევ სხვაც შემოგვემატა."

მაგრამ რაინდმა, ზედმეტსახელად ვიმნე უიღბლომ, დაინახა რა თავის წინაშე გრძნეულები, ჯადოქრობაში გაუთვითცნობიერებულმა და ფარ-ხმალის მოხმარების უცოდინარმა, კატეგორიულად მოითხოვა, რომ გალავნის მიღმა დაბრუნება სურდა.

ამაზე კი ამატა გაბრაზდა:

"-მხდალო, - დაიყვირა მან. -"აიღე შენი ფარ-ხმალი და დაგვეხმარე მიზნის მიღწევაში."

და აი, გრძნეულები შეცბუნებულ რაინდთან ერთად გაუყვნენ მზით განათებულ ბილიკს მოჯადოვებული ბაღის სიღრმისკენ.

ბაღში გზად იშვიათი ბალახ-ბულახები, ველური ყვავილები და საუცხოო ხილი იზრდებოდა, ამიტომ სტუმრები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიდიოდნენ, მანამ, სანამ არ მიადგნენ გორაკ-ბორცვის მისადგომს, რომელსაც შემოხვეოდა უზარმაზარი, ამაზრზენი, ბრმა და მსუქანი თეთრი მატლი. როდესაც მოგზაურები მიუახლოვდნენ, მან მოაბრუნა საზიზღარი თავი და წაისისინა:

"- საზღაურად მიბოძე ის, რაც შენს ტკივილს დაადასტურებს."

ვინმე უიღბლომ იშიშვლა მახვილი და მოსაკლავად მოუქნია ამაზრზენ ურჩხულს, მაგრამ, მცირე ქერცლის აათალაღა მოახერხა. ალთიდამ დაუწყო ქვების სროლა, ამატამ და ეიშამ კი - მათთვის ცნობილი შელოცვების გამოყენება, თუმცა ნებისმიერი მცდელობა უზარმაზარი მატლის დამარცხებისა, ამაო გახლდათ. მატლზე მათი ქმედებანი უძლური აღმოჩნდა. ის ძველებურად გაწოლილიყო და არავის აძლევდა შადრევნამდე მისვლის საშუალებას.

მზე კი თანდათან ამაღლდა და შუბის ტარს გაუსწორდა. ეიშა, სასოწარკვეთით მოცული, ატირდა. სწორედ ამ დროს უზარმაზარი მატლი შეირხა, მიუახლოვდა ეიშას ცრემლმორეულ სახეს და არც მეტი, არც ნაკლები, იგემა ეს ცრემლები. დაიოკა რა წყურვილი, თეთრი მატლი უკან გასრიალდა და სოროში მიიმალა.

უზომოდ გახარებული სამი გრძნეული და რაინდი, ისევ გაუდგა გორაკ-ბორცვზე ამავალ ბილიკს, თუმცა მის შუაწელზე ამგვარ წარწერას წააწყდნენ, ზედ მიწაზე ამოტვიფრულს:

"-საზღაურად შენი შრომის ნაყოფი მიბოძე."

ვიმნე უიღბლომ მიწაზე თავისი ერთადერთი მონეტა დადო, მაგრამ ის გაგორდა და სადღაც ბალახ-ბულახებში ჩაიკარგა. მოგზაურებმა გზა განაგრძეს, თითქოს რამდენიმე საათიც კი გალიეს, მაგრამ ყოველივე აქაც ამაო იყო - ისინი კვლავინდებურად ერთსა და იმავე გზას ტკეპნიდნენ და წარწერაც უცვლელად კიაფობდა მათ თვალწინ.

მზე კი თანდათან გადაიხარა დასავლეთისკენ, რამაც ყველა სულიერად გატეხა. მხოლოდ ალთიდა არ ნებდებოდა და სხვებსაც აგულიანებდა, სასოება არ დაეკარგათ, თუმცა როგორც დანარჩენი, ისიც ერთ ადგილს ტკეპნიდა.

"-გაბედულად, არ დანებდეთ, მეგობრებო!"- დაიყვირა მან და შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა. როგორც კი ოფლის მბზინავი წვეთი მიწას შეეხო, წარწერა, რომელიც გზას უღობავდათ, გაქრა.

მოგზაურებმა ნახეს, რომ გზა ისევ თავისუფალი იყო და სიხარულით ცას ეწიენ.

და აი, გადაფურჩქნულ ყვავილებსა და ხეებს შორის შენიშნეს ბროლივით მოელვარე საოცნებო იღბლის შადრევანი, მაგრამ აქაც არ დასცალდათ, რადგან გზა ნაკადულმა გადაუჭრათ. გამჭვირვალე წყალში ეგდო ქვა, რომლის გლუვ ზედაპირზე იკითხებოდა შემდეგი წარწერა:

"საზღაურად შენი წარსულის განძი მიბოძე."

ვიმნე უიღბლომ, ნაკადულის გადაცურვა ფარის დახმარებით გადაწყვიტა, მაგრამ წყალთან შეხებისთანავე ფარი ნაკადულის ფსკერზე ჩაეშვა. გრძნეულებმა გაწუწული რაინდი ძვლივს ამოათრიეს წყლიდან, თავად კი სცადეს გაღმა ნაპირზე გადახტომა, მაგრამ უშედეგოდ.

მზე კი თანდათან დაღმა ეშვებოდა.

ბოლოს ფიქრებს მიეცნენ, თუ რას ნიშნავდა წარწერა ქვაზე.

მგოსანი პილიის ხეობაში

გრძნეული ამატა პირველმა მიხვდა პასუხს: აიღო ჯადოსნური ჯოხი, თავის მეხსიერებაში მოიხმო ბედკრული სიყვარულის მოგონება და ჩაუშვა ნაკადულში. მოგონება წყლის ნაკადმა თან გაიყოლა და იმავე წამს, ნაკადულის შუაში გაჩნდა გლუვქვიანი ბილიკი, რომელზედაც მსწრაფლ გადაიარეს.

გორაკ-ბორცვის წვეროზე, მათ წინ, ჩამავალი მზის მეწამულ სხივთა ფონზე, საუცხოოდ ელვარებდა იღბლის შადრევანი.

დადგა გადამწყვეტი მომენტი, თუ ვის უნდა ჩაეყვინთა წარმატების მომტან შადრევანში, მაგრამ ვერც კი მოასწრეს თავიანთი არჩევანის გაკეთება, რომ ეიშა ღონემიხდილი მიწაზე დაეცა. შადრევნამდე მომავალმა მძიმე გზამ გრძნეული სრულიად გამოფიტა. "ფეხზე მდგარმა" მეგობრებმა გადაწყვიტეს იღბლის შადრევნამდე საკუთარი ხელით მიეყვანათ ის, მაგრამ ფერმიხდილი ეიშას თხოვნით ხელი აღარ ახლეს.

მაშინ ალთიდამ ჯადოსნური ბალახ-ბულახები დაკრიფა, შეაზავა ისინი ვინმე უიღბლოს მათარის წყალში და მიღებული ნაყენი მომაკვდავ ეიშას დაალევინა. სახსალამათი გრძნეული იმწამსვე ფეხზე წამოხტა. მეტიც, ძველი სენის ნიშნებიც სრულიად გაქრობოდა.

"-განვიკურნე!"-წამოიძახა მან."- აღარ მჭირდება შადრევნს დახმარება. დაე, ალთიდამ ჩაყვინთოს მასში". მაგრამ ალთიდა დაკავებული გახლდათ, ის აგრძელებდა წინსაფარში სამკურნალო ბალახ-ბულახის შეგროვებას.

"-თუკი მე განვკურნავ ადამიანებს ამ საშინელი ავადმყოფობისგან, მაშინ გამოვიმუშავებ იმდენ ოქროს, რამდენსაც მოვისურვებ. დაე, ჩაყვინთოს ამატამ!"

ვიმნე უიღბლომ მუხლი მოიდრიკა და ჟესტით მიიწვია ამატა, რათა მისულიყო შადრევანთან, მაგრამ გრძნეულმა პასუხად მხოლოდ თავი გააქნია - ნაკადულს თან წაეღო ბედკრული

მგოსანი პილიის ხეოპრეები

სიყვარულის მოგონება. ამატა, გათავისუფლებული საძულველი მოგონებებისგან, გახლადთ ბედნიერი, მაგრამ მკაცრიც და ორგულიც.

"-კეთილო ბატონო, შენი კეთილშობილებისთვის ჯილდოდ, თავად გაიბანავე." - უთხრა მან ვინმე უიღბლოს.

შადრევნის წყლით ასობით მოწყურებულ ადამიანს შორის გამორჩეულმა და ამ წარმატებით აჟიტირებმა რაინდმა, აბჯრის ჟღარუნით და ჩამავალი მზის სხივების ფონზე გასწია წინ და გაიბანავა. იმ წამს, როდესაც მზე ჰორიზონტის მიღმა ჩაესვენა, ვინმე უიღბლო ამოვიდა წყლიდან ზეაღტაცებული და ჟანგმოდებული აბჯრით ფეხებში ჩაუვარდა გრძნეულ ამატას. აღმოჩნდა, რომ რაინდს არასოდეს შეხვედრია ასეთი ლამაზი და კეთილშობილი მანდილოსანი. წარმატებით მთვრალმა გაბედა მისთვის ეთხოვა ხელი და გული, და აღტაცებული ამატაც მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მან იპოვა ის, ვისაც ეძებდა.

გორაკ-ბორცვიდან სამი გრძნეული და რაინდი ხელი-ხელ ჩაკიდებული დაუბრუნდა ქვეყნიერებას. ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ და არც არავის მოსვლია თავში ის, რომ შადრევანი, რომელიც წარმატებისა და იღბლის მომტანი გახლდათ, სულაც არ იყო ჯადოსნური.



მგოსანი შიულის ხოსპრეში

ალბეს დამბლდორის

კომენტარი "იღმლის შადრევანზე"

"**O**ღბლის შადრევანი" ურყევი წარმატებით სარგებლობს მკითხველთა შორის. სწორედ ამ ზღაპრის მიხედვით დაიდგა ის საშობაო სპექტაკლი, რომელიც ჰოგვორტსის ისტორიაში ერთადერთია.

პროფესორი ჰერბერტ ბირი, რომელიც ასწავლიდა ჰერბოლოგიას, იყო ერთგული თაყვანისმცემელი სამოყვარულო თეატრისა. მანვე მიიწვია მოსწავლე-მასწავლებლები სპექტაკლზე საყვარელი ზღაპრის მიხედვით. მაშინ ახალგაზრდა გახლდით. ვასწავლიდი ტრანსფიგურაციას და დამავალეს "სპეცე-ფექტების" უზრუნველყოფა, რომელთა რიცხვში შედიოდა როგორც იღბლის შადრევნის დეკორაცია, ასევე მინიატურული გორაკ-ბორცვი, რომელზედაც ავიდოდნენ თუ არა გმირები, თანდათან უნდა დაეწყო ჩაძირვა და ბოლოს, სრულიად გაუჩინარებულიყო სცენის მიღმა. ყოველგვარი ტრაბახის გარეშე უნდა აღვნიშნო, რომ შადრევანმა და გორაკ-ბორცვმა კეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი როლი, რისი თქმაც, სამწუხაროდ, არ ძალმიძს სპექტაკლის სხვა მონაწილეებზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენმა იღბლის მაძიებლებმა ველარ მიაღწიეს გორაკ-ბორცვის წვერომდე. სასცენო ფარდა ჯერ კიდევ არ აწეულიყო, როდესაც პროფესორ კეტლბერნის "მატლი", რომლის "როლსაც" ათასი მაგიური შელოცვით გადიდებული გველნაცარა[4] ასრულებდა, მოულოგნელად აფეთქდა. გავარვარებულმა ნაპერწკლებმა და დანაცრებულმა ნაწილებმა მიმოავსეს მთელი დარბაზი კვამლითა და დეკორაციების ნამსხვრევებით. (მეცეცხლურებმა მანამ მოახერხეს კვერცხების სცენიდან გატანა, სანამ სცენის იატაკი სრულიად დანახშირდებოდა). "ამატაც" და "ეიშაც" ჩაებნენ ამ "გავარვარებულ" ბრძოლაში. თავად პროფესორი ბირი კი ამ შემთხვევას ცოცხალი შემთხვევით გადაურჩა. მაყურებლებიც სასწრაფოდ გაიყვანეს დარბაზიდან, რადგან ხანძარი, რომელიც მძვინვარებდა თეატრის სცენაზე, გადაწვით ემუქრებოდა მთელ შენობას. მხიარულება დასრულდა საავადმყოფო ფლიგელში, რომელიც კრახგანცდილმა მონაწილეებმა თითქმის გადაავსო. მას შემდეგ დიდ დარბაზში რამდენიმე თვის განმავლობაში იდგა დამწვარი ხის მძაფრი სუნი. (პროფესორ ბირის თავი დიდხანს ვერ დაუბრუნდა თავდაპირველ ფორმას; რაც შეეხება პროფესორ კეტლბერნს, მას ხანგრძლივი დროით აუკრძალეს გაკვეთილების

[4] იხილეთ, *"ზღაპრული ცხოველები. სად ვიპოვოთ ისინი"*, იქ არის დაწვრილებით მოთხრობილი ამ თავისებური ცხოველის შესახებ, რომლის ხისკედლებიან შენობაში შეშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს, წყევლით დასჯა.

ჩატარება[5].) დირექტორმა არმანდო დიპეტმა სასტიკად აკრძალა სამომავლოდ რაიმე სპექტაკლის დადგმა სკოლის ფარგლებში. სწორედ აქედან მოყოლებული აღარ იდგმება ჰოგვორტსის კედლებში თეატრალური დადგმები და ეს ერთგვარი ტრადიცია დღემდე გრძელდება კიდეც.

ჰოგვორტსში სპექტაკლად დადგმული "იღბლის შადრევნის" სრული ფიასკოთი დასრულების მიუხედავად, ეს ზღაპარი მაინც რჩება ყველაზე პოპულარულ და ცნობად ზღაპრად ბიდლის შემოქმედებაში, თუმცა ჰყავს ძლიერი კონკურენტებიც, თუნდაც "ჯადოქარი და ხტუნია ქოთნის" სახით. მიუხედავად ზღაპრის დიდი მოწონებისა, არაერთი მშობელი მოითხოვდა ჰოგვორტსის ბიბლიოთეკის წიგნების რიგებიდან მის ამოღებას. მათ შორის ერთ-ერთი გახლავთ ბრუტუს მალფოის შთამომავალი, ერთ დროს ჰოგვორტსის სამეურვეო საბჭოს წევრი, მისტერ ლუციუს მალფოი. მისტერ მალფოიმ თავისი მოთხოვნა წერილობითი სახით წარმოადგინა:

"ჰოგვორტსის წიგნთა თაროებზე არ უნდა ელაგოს არცერთი ისეთი ნაწარმოები, იქნება ეს დოკუმენტური თუ მხატვრული ჟანრის, რომელშიც უშუალოდ იქნება საუბარი ჯადოქრებსა და მაგლებს შორის ქორწინებაზე. პირადად მე, არ მსურს, ჩემმა შვილმა, წმინდასისხლიანმა ჯადოქარმა, წაიკითხოს ისეთი წიგნები, რომლებიც პროპაგანდას უწევს ზემოაღნიშნულთა შეუღლებას."

ჩემს აკრძალვას, ამოეღოთ მსგავსი შინაარსის წიგნები ბიბლიოთეკიდან, მხარი დაუჭირა სამეურვეო საბჭოს წევრთა უმრავლესობამ. მისტერ მალფოის, მისდამი მიწერილ საპასუხო წერილში, თვალნათლივ ავუხსენი ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი:

"ე.წ. წმინდასისხლიანთა ოჯახები ინარჩუნებენ ე.წ. სისხლის სიწმინდეს, რითაც თავიდან იცილებენ ან აჩუმებენ მათთან დამოყვრებულ მაგლებს ან არამაგიური წარმოშობის ჯადოქრებს. ახლა კი, ასეთი ოჯახები, რომლებიც ცდილობენ თავს მოგვახვიოს თავიანთი პირმოთნდობა, ითხოვენ აკრძალონ წიგნები, რომლებშიც ნათელი ეფინება მათთვის არასასურველ სიმართლეს. ამქვეყნად არ არსებობს ისეთი კუდიანი თუ ჯადოქარი, რომლის ძარღვებშიაც არ მიედინებოდეს რაღაც წილი მაგლების სისხლისა. ამიტომ მივიჩნევ, უზნეო და ალოგიკური იქნება სტუდენტური ბიბლიოთეკიდან ამოვიღოთ ისეთი წიგნები, რომლებშიც განხილულია მაგლებისა და ჯადოქრების შერეული ქორწინება[6]".

აი, ამ წერილობითი გაცვლის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ჩემსა და მისტერ მალფოის შორის. ის ცდილობდა, მე მოვეხსენი ჰოგვორტსის დირექტორობის თანამდებობიდან. მე კი, თავის მხრივ, ლორდ ვოლდემორის დამხმარე სიკვდილის მხვრელთა რიგებთან დაახლოებაში ვადანაშაულებდი.

[5] ჯადოსნურ არსებათა მოვლა-პატრონობის მასწავლებლად მუშაობის პერიოდში, პროფესორი კეტლბერნი არანაკლებ სამოცდაორჯერ ჩამოაშორეს მეცადინეობებს. მას ჰქონდა საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩემს წინამორბედთან, პროფესორ არმანდო დიპეტთან. (პროფესორი დიპეტი კეტლბერნს უვიცად მიიჩნევდა).იმ დროისთვის,როდესაც მე ჰოგვორტსის დირექტორობის სავარძელი მერგო, ერთი შეხედვით წლებისგან მორჯულებული მომეჩვენა პროფესორი კეტლბერნი, თუმცა ზოგიერთი ცინიკოსი ამტკიცებდა, რომ ის იძულებული გახდა დაწყნარებულიყო, იმიტომ, რომ კიდურების საწყისი რაოდენობიდან მხოლოდ ერთნახევარიღა შერჩენოდა მთელი.

[6] ჩემს წერილს მისტერ მალფოი რამდენიმე საპასუხო წერილით გამომეხმაურა. ძირითადად ისინი შედგებოდა არასასურველი შენიშვნებისგან, ჩემი წარმომავლობისა და სულიერი ჯანმრთელობის, პირადი ჰიგიენისა და საჭირო თემისგან კარგა დაშორებული კომენტარებისგან, რომლებიც, რა თქმა უნდა, რადიკალურად განსხვავდებოდა იმისგან, რის პასუხსაც ესოდენ მოველოდი.



ჯადოქრის მაღნიანი გული

Oყო და არა იყო რა, ქვეყნად ცხოვრობდა ერთი მოხდენილი, მდიდარი და ნიჭიერი ახალგაზრდა ჯადოქარი, რომელიც აკვირდებოდა თავის მეგობრებს, მადისა და ღირსების დაკარგვასთან ერთად, მიჯნურობისას სრულიად რომ გადიოდნენ თავს. ამიტომ გადაწყვიტა არასოდეს გამხდარიყო ამგვარი "სისუსტის" მსხვერპლი და საკუთარი იმუნიტეტის დასაზღვევად მიმართა "ბნელ ხელოვნებას".

ახალგაზრდა ჯადოქრის ოჯახის წევრები აინუშიაც არ იყვნენ ვაჟის საიდუმლო ზრახვის შესახებ, ამიტომ სიცილით პასუხობდნენ შვილის განმარტოებას.

-"ალბათ, ყველაფერი შეიცვლება," - ვარაუდობდნენ ისინი."- როდესაც რომელიმე მანდილოსანი მოდრეკს მის გულსა და ამ ახირებულ ქცევას."

მგოსანი პიულის ხეობაში

გადიოდა დრო, მაგრამ ახალგაზრდა ჯადოქრის უცნაურ ქცევა-მანერაში ცვლილები არც კი შეიმჩნეოდა. მიუხედავად ამისა, მისი ამპარტავნება არაერთი ქალის ყურადღებას იქცევდა, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას, მაგიასა თუ ხელოვნებას იყენებდნენ ყმაწვილის გულის მოსაგებად, მაგრამ ამაოდ (ჯადოქარმა სახელი გაითქვა თავისი გულგრილობითა და გამჭრიახი ხასიათით).

გამოხდა ხანი და ჯადოქრის ქორფა სიყმაწვილის წლებმაც ჩაიარეს. მისი თანატოლები დაოჯახდნენ, წამოვიდა ახალი თაობაც.

"-მათი გულები გამოფიტული ნაჭუჭებია," - დაასკვნა მან. "- შეჭმუხნული და დაღმეჭილი პატარა მჩხავანა ნაშიერების გაუთავებელი მოთხოვნებით." - და კიდევ ერთხელ მიულოცა საკუთარ თავს ადრეული ასაკიდანვე "ბრძნული" გადაწყვეტილების მიღება.

დადგა დრო და ჯადოქრის მხცოვანი მშობლები მიწას მიებარნენ, თუმცა შვილს არც კი დაუტირია ისინი. პირიქით, დაობლებას წყალობად მიიჩნევდა და მემკვიდრეობით მიღებული დიდებული ციხე-კოშკის ერთპიროვნულ მმართველობას ზეიმობდა. მან თავისი ურიცხვი განძეულობა ყველაზე ღრმა მიწისქვეშა დილეგში მოაქცია, თავად კი ჩვეულ განცხრომასა და ეულ ცხოვრებას მიეცა. მისი კომფორტულად ცხოვრება ერთადერთ მიზნად იქცა ჯადოქრის რიცხვმრავალი მსახურისთვის.

ახალგაზრდა ჯადოქარს ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ თავად გახდებოდა უსაზღვრო შურის ობიექტი, იმათთვის, ვინაც შეაშფოთა "ობლის" შესანიშნავმა და უპრობლემო ეულმა ცხოვრებამ.

საშინელმა სიბრაზემ და ღრმა იმედგაცრუებამ მოიცვა ეული ახალგაზრდა, როდესაც შემთხვევით ორი ლაქიას საუბარს მოჰკრა ყური, რომელიც მათი პატრონის ცხოვრებას განიხილავდა. პირველი

მგოსანი შიდლის ხეობაში

გამოხატავდა სიბრალულს ახალგაზრდა ჯადოქრის მიმართ, რომელიც აურაცხელი სიმდიდრისა და ძალაუფლების მიუხედავად მეორე ნახევრის გარეშე დააბიჯებდა , მეორე კი, არც მეტი,არც ნაკლები, დასცინოდა ზვიადი ციხე-კოშკისა და უზღვავი საგანძურის მფლობელ, მაგრამ მანდილოსნების მოხიბვლაში უუნარო ბატონს.

ამ სიტყვებმა მომაკვდინებლად იმოქმედა ჯადოქრის სიამაყეზე და გადაწყვიტა შეერთო ცოლი: ყველაზე ტურფა და მომხიბვლელი, მჯობნი ნებისმიერი მანდილოსნისა. დაე,თვით საწყისიც კი, სილამაზისა. ისეთი, რომელიც საშინელ შურსა და მომეტებულ სურვილს აღძრავდა ნებისმიერ მამრში. მანდილოსანი აუცილებლად უნდა ყოფილიყო წმინდასისხლიანთა ჩამომავლობის, რათა მაგიური ძალებით დაჯილდოებული შვილები გაეჩინათ და აგრეთვე, სულ მცირე, იმდენი სიმდიდრის მფლობელი, რამდენსაც თავად დაჰპატრონებოდა.

შესაძლოა, ჯადოქარს ასეთი ქალის მოსაძებნად ნახევარი საუკუნეც კი დასჭირვებოდა, მაგრამ ფორტუნამ გაუღიმა: ლაქიების საუბრიდან მოყოლებული საცოლის გამალებული "მძებნელის" სამეზობლოში ჩამოვიდა ერთი გრძნეული ქალიშვილი. ეს გახლდათ უსაზღვროდ განათლებული, ულამაზესი და დიდძალი ქონების მფლობელი. მისი მომხიბვლელი გარეგნობა იმდენად ძალუმი იყო, რომ ერთი შეხედვით ნებისმიერ მამაკაცს გულში უვარდებოდა. უყვარდებოდა ყველას, გარდა ერთისა: ახალგაზრდა ჯადოქრის გული ვერაფერს გრძნობდა. ქალი მის წარმოსახვაში მეტ-ნაკლებად ძვირფასი იყო, მაგრამ, მიუხდავად ამისა, რახან ქალიშვილი თავის გარეგნულსა თუ მატერიალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მოურიდებლად დაუწყო არშიყობა.

ყველა აღტაცებამ მოიცვა, ვინაც კი შეამჩნია ახალგაზრდის ქცევა-მანერაში თვალშისაცემი ცვლილებები. ისინი ქალიშვილს ულოცავდნენ წარმატების მიღწევას იქ, სადაც სხვებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს. ქალიშვილი ორმაგ განცდაში იყო: საკუთარი თავით აღფრთოვანებული უკუაგდებდა ჯადოქრის ყურადღებას, რადგან "მცხუნვარე" კომპლიმენტებსა და სიყვარულში დარწმუნებას თან ახლდა შინაგანი სიცივეც. (
ის არასოდეს შეხვედრია მასსავით ძლიერსა და ამგვარად აუცხოებულ ადამიანს).

ქალის სანათესაოს ორთავე შეუღლების იდიალურ ვარიატად მიაჩნდა, ამიტომ დიდი სიამოვნებით დათახმდნენ ჯადოქრის მიპატიჟებას, რომელიც მომავალი მეუღლის საპატივცემულოდ გამართა თავის ციხე-კოშკში.

მაგიდაზე ელაგა ოქრო-ვერცხლის მოელვარე ჭურჭელი. საუკეთესოზე საუკეთესო ღვინო - განსაკუთრებულ კერძთა შორის. მენესტრელები აჟღერებდნენ ბარბითს და მღეროდნენ მწველ სიყვარულზე (რომელიც, არამდე არასოდეს განუცდია ახალგაზრდა ბატონს). ქალიშვილი ჯადოქართან ერთად იჯდა ტახტზე, რომელიც მგოსანთა წიგნებიდან "მოპარულ" და ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებულ ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ყურში.

ქალიშვილი ეჭვებში ჩაძირული უსმენდა მას და შემდეგ მიმართა:

"- მშვენივრად საუბრობ, მაგრამ უფრო მეტად გამიხარდებოდა შენი ყურადღება, გული ნამდვილად რომ გქონდეს".

ახალგაზრდას გაეღიმა და უპასუხა, რომ ამ მხრივ შეეძლო სავსებით მშვიდად ყოფილიყო და ნადიმიდან იმ უღრმეს მიწისქვეშა დილეგისაკენ წარუძღვა, რომელშიც განძეულობას ინახავდა.

მგლსანი შიულის ხეოაჭრეები

იქ, ბროლის ლამაზ ზარდახშაში გამოკეტილიყო ჯადოქრის მფეთქავი გული. ეს გული დიდი ხნის განმავლობაში იყო თვალსა და ყურთასმენას მოწყვეტილი. გულს არ შეეძლო სილამაზის ხიბლის შეგრძნება, აღქმა საოცარი ჰანგებისა თუ აბრეშუმივით ნაზი კანის შეხებისა. ორგანო სრულიად დაეფარა გრძელსა და შავ ბალნებს.

-"ოჰ, ეს რა გიქნიათ?" - დაიჩივლა ქალმა. - "დააბრუნეთ იქ, სადაც უნდა იყოს. გთხოვ, გემუდარებით."

ჯადოქარი მიხვდა, რომ ქალის საამებლად სხვა გზა არ იყო, მსუბუქად აიქნია ჯოხი, გადახსნა დალუქული ზარდახშა, ამოიღო მფეთქავი ბალნიანი გული, გადაიღეღა მკერდი და უწინდებურ ადგილას მოათავსა.

- "ახლა უკვე განიკურნე. ამიერიდან შენ შეგიძლია შეიგრძნო ჭეშმარიტი სიყვარული". - დაიყვირა ქალმა და მოეხვია ჯადოქარს.

ნაზი და ალერსიანი მკლავების შეხება, ყურებში ჩაღვრილი ქალის ჰაეროვანი ამოსუნთქვის ხმა, მძიმე ოქროსფერი თმების სურნელი - ყოველივე ამან აამოქმედა ახლადგაღვიძებული ორგანო. გულმა უცნაური და უცხო ძალის მოკრება დაიწყო. აქამდე სხეულიდან განდევნილი და უდროოდ მისჯილის სიბნელის გამო მთლად გაველურებული, ჭირვეული და ახალი განცდებით აღვსილი გამხდარიყო.

ნადიმზე მყოფმა სტუმრებმა შეამჩნიეს მასპინძლისა და ქალიშვილის არყოფნა. პირველად ეს ფაქტი არად ჩააგდეს, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ აღშფოთებულები ძებმას შეუდგნენ. დიდი ხნის ძიების შემდეგ მიაგნეს მიწისქვნშეთის დილეგს, სადაც საშინელი სანახაობა დაუხვდათ: ქალიშვილი უსულოდ ეგდო, მკერგაღეღილი. მის გვერდით იკრუნჩხებოდა ახალგაზრდა ჯადოქარი, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა სისხლიანი, ალისფრად მბრწყინავი ქალიშვილის გული, რომელსაც ლოკავდა, ეალერსებოდა და ეფერებოდა, ამასთან, იფიცებოდა კიდეც, რომ ქალიშვილის გულს საკუთარი გულით ჩაანაცვლებდა. მეორე ხელში ჯოხი ეჭირა, რომლის საშუალებითაც ცდილობდა ბალნიანი გულის მკერდიდან ამოგლეჯას, მაგრამ გული უძალიანდებოდა - უარზე იდგა, დაეტოვებინა "სამფლობელო" და დაბრუნებულიყო იმ კუბოში, სადაც ამდენი ხანი დაჰყო.

შეძრული სტუმრების გაფართოებული თვალების წინ ჯადოქარმა მოისროლა ჯოხი და იშიშვლა ვერცხლის ხანჯალი. დაიფიცა, რომ საკუთარ გულის ბატონ-პატრონი მხოლოდ თვითონ იქნებოდა და ამოიგლიჯა მკერდიდან.

მგლსახი შიდლის ხლაჭრეში

რამდენიმე წამში ახალგაზრდა ჯადოქარი მონუსხული დაეცა მუხლებზე, ხელებში ჩაბღუჟული გულებითურთ. შემდეგ კი გადაეჭდო ქალიშვილის ცხედარს და სული განუტევა.

მგოსანი შიულის ხოსრეში

ალბერს დამბლდორის

კომენტარი "ჯადოქრის ბალნიან გულზე"

როგორც უკვე ვიხილეთ, ბიდლის პირველი ორი ზღაპარი გახდა კრიტიკის საგანი, იმის გამო, რომ მათში საუბარი იყო სულგრძელობაზე, ამტანიამობასა და სიყვარულზე. ზღაპარი "ჯადოქრის ბალნიანი გული" პირიქით, არ იწვევდა რაიმე სახის შესამჩნევ წინააღმდეგობას. როდესაც მე წავიკითხე ზღაპრის თავდაპირველი რუნული ვარიანტი, ტექსტი აღმოჩნდა პრაქტიკულად ისეთივე, როგორიც ბავშვობაში მომისმენია დედაჩემისგან. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ "ბალნიანი გული" კრებულის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ზღაპარია და ბევრი მშობელი თავის შვილს არამც და არამც არ უყვება იმის შიშით, რომ პატარებს ღამისეული კოშმარები დაესიზმრებათ[7].

რაში მდგომარეობს ამ ბნელი ზღაპრის არსი? ვვარაუდობ, რომ "ჯადოქრის ბალნიანმა გულმა" საუკუნეების მანძილზე შემოინახა საწყისი სახე, იმის წყალობით, რომ თავად ზღაპარი ესისხლხორცება ადამიანური ბუნების იმ ბნელ მხარეებს, რომლებიც იმალება თითოეულ ჩვენგანში. ზღაპარში საუბარია ჯადოქრობის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საცთურზე, რომლის შესახებ ხმამაღლა საუბარი მიუღებელი სულაც არ გახლავთ: - ეს უვნებლობისკენ სწრაფვაა.

შეუთანხმებლობა, არც მეტი, არც ნაკლები, სულელური ფანტაზიაა. არც ერთი სულიერი, იქნება ეს ჯადოქარი თუ მაგლი, ვერ იქნება თუგინდ სულიერი, ისე ფიზიკური ტრამვის გარეშე. წუხილი

[7] თუკი დავუჯერებთ ბეატრიქს ბლოქსომის დღიურს, მწერალი დღემდე ვერ გამოსულა განცდილის ზემოქმედებისგან. მას შემდეგ, რაც მოისმინა, თუ როგორ უყვებოდა დეიდა ბეატრიქსის უფროს ბიძაშვილებს ამ ზღაპარს. "კარის ჭუჭრუტანიდან შემთხვევით მოვკარი ყური, როგორ მოუთხრობდა დეიდაჩემი ჩემს ბიძაშვილებს ამ ზღაპარს. ალბათ, შიშისგან იმდენად დავიზაფრე, რომ ფეხებს ძვრაც კი ვერ ვუყავი, ამიტომ, ჩემდა უნებურად, ბოლომდე მოვისმინე ეს საზიზღარი ლეგენდა, სისხლის გამყინავი დეტალები, ბიძაჩემის, ნობის უსირცხვილო ისტორიისა, ადგილობრივი კუდიანისა და აბგაში მხტუნავი ბოლქვების შესახებ".

მგოსანი პიულის ხეობაში

ისეთივე ჩვეულებრივია მოკვდავთათვის, როგორც სუნთქვა. მიუხედავად ამისა, ჯადოქრებს შესწევთ ძალა, ჩათვალონ, რომ მათ აქვთ ნიჭი, ამათუ იმ ნივთის ბუნება შეცვალონ თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით. ამის ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდა გრძნეული[8] წინამდებარე ზღაპრიდან. მან მიიჩნია, რომ სიყვარული - ეს არის ხელისშემშლელი ფაქტორი ბედნიერებასა და მშვიდ ცხოვრებაში. მის თვალებში სიყვარული დამამცირებელი სისუსტე, ემოციისა და მატერიალური ენერგიის ტყუილ-უბრალო ფლანგვაა.

რა თქმა უნდა, საუკუნეების მანძილზე გაჩაღებული ჯადოსნური მიქსტურებით ვაჭრობა, კარგად მოწმობს, რომ ეს გრძნეული ახალგაზრდა მარტო არ გახლავთ ამ მისწრაფების პირისპირ, ანუ დაემორჩილებინა ეს "გაუთლელი" გრძნობა, სიყვარულად წოდებული.

[8] ტერმინი "გრძნეული" საკმაოდ ძველია, მას ხშირად იყენებენ "ჯადოქრის" სინონიმად. თავდაპირველად ის გამოხატავდა ადამიანს, რომელიც ფლობდა ორთაბრძოლის ხელოვნებასა და საბრძოლო მაგიის ყველა სახეს. გრძნეულის ტიტულს ანიჭებდნენ ჯადოქრებს გამოჩენილი მამაცობისათვის. ზუსტად ისე, როგორც მაგლებს ერთგულებისთვის აკურთხებდნენ რაინდებდად. ზღაპრის მთავარი გმირის გრძნეულად წარმოჩენით, ბიდლს სურს, ხაზი გაუსვას, რომ თავად იყო აღიარებული ოსტატი შეტევითი მაგიისა. ჩვენს დროში სიტყვა "გრძნეული" ჯადოქრების მიერ გამოიყენება ორი მნიშვნელობით: როცა საუბარია შესახედავად გამძვინვარებულ ჯადოქარზე, როგორც განსაკუთრებული ოსტატობის ანდა არაჩვეულებრივი მიღწევის ნიშანზე. სწორედ აქედან გამოგვაქვს ლოგიკური დასკვნა, დამბლდორი გახლდათ ვიზენგამოტის უმაღლესი სამსჯავროს გრძნეული.

სიყვარულის ელექსირის ძიება დღესაც მინდინარეობს, თუმცა მსგავსი ჯერ არც კი შეუქმნიათ და ზოგიერთი წამყვანი ელექსირების წარმოებაში[9] ეჭვობს, რომ არსებული აზრი ელექსირთა თუნდაც სამომავლოდაც არარსებობაზე, სიმართლეს შეესაბამება. თუმცა, ჩვენს გმირს არც კი აინტერესებს ისეთი ამბავი, როგორსაც თავად შექმნის და თავადვე გაანადგურებს. ის ცდილობს თავი დაიცვას ისეთი სიყვარულისგან, როგორსაც აღიქვამს, როგორც ავადმყოფობას. სწორედ ამ მიზნით იყენებს შავ მაგიას, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, ზღაპრის ფარგლებში ხორციელდება. ახალგაზრდა ჯადოქარი თავის გულს ზარდახშაში ათავსებს და ეს ქმედება ბევრისთვის ჰორკრუქსის შექმნასთან კი ასოცირდება, თუმცა ბიდლის ჯადოქარი არ ესწრაფის უკვდავებას. უბრალოდ ყოფს მას, რისი გაყოფაც, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია, რისთვისაც ხდება მსხვერპლი მაგიის ფუნდამენტალური კანონისა, რომელიც აღმოაჩინა ადალბერტ უაფლინგმა:

"სიცოცხლის სათავის სიღრმისეულ მისტერიებში წვდომა ან მისი დედაზრის შეცნობისკენ სწრაფვა ნებისმიერისთვის საფრთხილოა, უკიდურესად მძიმე შედეგებით".

[9] მიქსტურების ექსტრაორდინალურად დამამზადებელი საზოგადოების დამაარსებელი ჰექტორ დაგვორთ-გრეინჯერი ამგვარ განმარტებას გვაძლევს:
"განსაკუთრებული ოსტატობით დამზადებულმა მიქსტურამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მძაფრი გატაცება, მაგრამ აქამდე ვერავინ შეძლო სრულყოფილად შეექმნა ისეთი მიქსტურა, რომელიც ნამდვილი სიყვარულივით ურყევი გრძნობის გამოხატვის საშუალებას მოგვცემს".

მგლსანი პილლის ხლაჭრეპი

ადამიანზე ზეაღმეტებულობის სინდრომით გონებდადაკარგული ადამიანი, თავად კარგავს ადამიანობას. გული, რომელიც გამოკეტილია ზარდახშაში, თანდათან ილევა, შრება, იჭმუჭნება და იფარება ამაზრზენი ბალნებით, რომლებმაც სიმბოლურად გამოხატა ახალგაზრდა ჯადოქრის დეგრადაცია და ცხოველთან გათანაბრება. ზღაპრის დასასრულს ჩვენ ვხედავთ ველურ მხეცს, რომელიც ამჟღავნებს პრიმიტიულ ინსტიქტს, ძალით იტაცებს საწადელს და იღუპება ამაო მცდელობისას, დაებრუნებინა ძველი ადამიანური ორგანო.

მაგლების ყოველდღიურ სამეტყველო ლექსიკაში დღემდეა შემორჩენილი არქაული სიტყვები, მაგალითად "მას ბალნიანი გული აქვს", რაც აღნიშნავს გულცივი, უგრძნობი ადამიანის ეპითეტს. ჩემი გაუთხოვარი დეიდა ჰონორია ყოველთვის მახსენებდა, რომ პარტნიორზე დროულად შემჩნეული "ბალნიანი გულის" გამო ჩაშალა ქორწინება. (მოარული ჭორების მიხედვით, თითქოს დეიდაჩემმა დაინახა საქმრო ჰორკლამპის[10] მოფერებისას, რამაც გულის სიღრმემდე შეძრა და გააოცა ჰონორია).

აღსანიშნავია, რომ ზღაპრის მსგავსი სახელწოდების წიგნი[11] *"ბალნიანი გული: სახელმძღვანელო დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი ჯადოქრებისთვის"* შედიოდა ბესტსელერთა სიაში.

---

[10] ჰორკლამპი -ეკლიანი, ვარდისფერი სოკოს მჭამელი არსებაა. ძნელი წარმოსადგენია, თუ ვის მოუვა აზრად მისი მოფერების იდეა. დამატებითი ცნობები იხილეთ წიგნში *"ზღაპრული ცხოველები. სად ვიპოვოთ ისინი."*

[11] არ შეგეშალოთ წიგნში *"ბალნიანი დინგი, ადამიანის გული"*, რომელიც მოგვითხრობს ლიკანტროპთან მებრძოლი ერთ-ერთი ჯადოქრის გულის გამგმირავ ამბავს.



ნაცარა-ცანცარა და მისი მოხითხითე კუნძი

Oყო და არა იყო რა, დიდი ხნის წინათ შორეულ სამეფოში ცხოვრობდა ერთი უგუნური ხელმწიფე, რომელმაც ერთხელაც მოიწადინა, რომ მხოლოდ მას უნდა ჰქონოდა ჯადოსნური ძალა. ამიტომ თავისი ლაშქრის მთავარსარდალს გრძნეულებსა და ჯადოქრებზე მონადირეების ბრიგადის ჩამოყალიბება უბრძანა, თან ბრიგადა გასაძლიერებლად ავი და შავი ქოფაკების ხროვითაც შეაიარაღა. იმავდროულად მეფის ბრძანებით ყოველ სოფელსა თუ ქალაქში გამოაკრეს განცხადება:

"ესაჭიროება ხელმწიფეს ინსტრუქტორი ჯადოქრობაში".

მგოსანი პიოლის ხეოპრეში

ვერც ერთმა ნამდვილმა გრძნეულმა თუ ჯადოქარმა ვერ გაბედა გამოხმაურება, რადგან იმხანად ჯადოქრებზე მონადირეთა ბრიგადას საგულდაგულოდ ემალებოდნენ. სამაგიეროდ, ერთმა ცბიერმა შარლატანმა, რომელიც ჯადოსნობის აზრზე არ გახლდათ, იოლად გამდიდრების შანსის ხელიდან გაშვება არ ისურვა, ხელმწიფეს სასახლეში ეახლა და თავი, არც მეტი, არც ნაკლები, მაგიური ძალების მქონე დიდ ჯადოქრად გააცნო. შარლატანმა იქვე რამდენიმე მარტივი ოინი უჩვენა და, იმ მოტყუებულმა სულელმაც, მაშინვე სამეფოს უზენაესი გრძნეულისა და ხელმწიფისთვის ჯადოქრობის მასწავლებელი პირადი ოსტატის წოდება უბოძა.

ყალთაბანდმა ხელმწიფეს დიდი ტომრით ოქრო მოსთხოვა, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხები და სხვადასხვა აუცილებელი ნივთები უნდა ეყიდა, აგრეთვე მოითხოვა რამდენიმე დიდი პატიოსანი თვალი და ორი ვერცხლის თასი, ვითომდა ჯადოსნური ნაყენებისა და ბანგების მოსახარშად. უგუნურმა ხელმწიფემ უკლებლივ ყველაფრით მომარაგა.

შარლატანმა განძეულობა შინ გადამალა და თვითონ უკან, სასახლეში გამობრუნდა. მას არ შეუმჩნევია, როგორ უთვალთვალებდა ერთი მოხუცი ქალი, რომელიც სამეფოს მამულის განაპირას, ქოხმახში სახლობდა. მოხუც ქალს ცანცარა[12]ერქვა,

---

[12] *Babbitty – „ჰარი პოტერის“ დასკვნითი ტომის ქართულ თარგმანში(მთარგმნ. ციცო ხუცუაშვილი) მიმდინარე ზღაპრის სახელწოდება ფიგურირებს შემდეგნაირად - „ბაჭო-პრანჭო“. მშვენიერი რითმის მიუხედავად, საჭიროდ ჩავთვალე, თარგმანში საკუთარი შესაძლებლობა გამომეყენებინა, რამაც საბოლოოდ გადამაწყვეტინა - Babbitty Rabbitty- წინამდებარე თარგმაში „ნაცარა-ცანცარად“ დამემკვიდრებინა(მთარგმნ. შენ.).*

მგოსანი შიულის ხეოვრებები

მრეცხავი გახლდათ და სამეფო კარის თეთრეულის რეცხვა და გაქათქათება - გაფაფუკება ევალებოდა. ცანცარამ დაინახა, სასახლეში შესვლამდე როგორ მოატეხა შარლატანმა ბაღში მდგარ ხეს წყვილი ტოტი. იქედან ცალი ტოტი ხელმწიფეს გაუწოდა და თან დაარწმუნა, უსაზღვრო სიძლიერის ჯადოსნური ჯოხიაო.

"-*ოღონდ, მხოლოდ მაშინ იმუშავებს*, - დასძინა ბოლოს, - *თუკი მისი ღირსი იქნებით*".

ყოველ დილით ხელმწიფე და ყალთაბანდი სასახლის ეზოს მიაშურებდნენ, "ჯადოსნურ" ჯოხებს ჰაერში იქნევდნენ და სისულელეებს გაიძახოდნენ, თითქოსდა შელოცვები ყოფილიყოს. ოსტატი მეტად ცდილობდა თავისი ოინები ხელმწიფისთვის არამც და არამც არ გაემჟღავნებინა, რათა შეგირდი მის ჯადოქრობაში ბოლომდე დარწმუნებულიყო და აგრე იოლი გზით მოპოვებული დიდძალი ოქრო უკან არ წაერთმიათ.

ერთ მშვენიერ დღესაც, როცა ოსტატი და შეგირდი წრეზე დახტოდნენ და უაზრობებს ღიღინებდნენ, ხელმწიფეს ხმამღალი ხითხითი შემოესმა. მრეცხავი ცანცარა თავისი ქოხმახის სარკმლს მოსდგომოდა და ისე გულიანად ხითხითებდა, რომ მალე, სიცილისგან დაოსებულს, ფეხზე დგომა აღარ შეძლო და იქვე ჩაიკეცა.

"- *ეტყობა, ძალიან სულელურად გამოვიყურები, მოხუცი მრეცხავის დასაცინი რომ გავხდი!* - გაიფიქრა ხელმწიფემ, ხტომა და ჯოხის ქნევა შეწყვიტა და მოიღუშა. "- *მომბეზრდა ამდენი მეცადინეობა! როდისღა უნდა ვაჩვენო ჩემს ქვეშევრდომებს ნამდვილი ჯადოქრობა?* "

შარლატანმა მისი დამშვიდება სცადა, ცოტაც და, გასაოცარი ოინების კეთებას შეძლებთო, მაგრამ ხელმწიფეს იმაზე ძლიერ მოხვედროდა გულზე ცანცარას ხითხითი, ვიდრე მას წარმოედგინა.

"-*ხვალ*, - ბრძანა ხელმწიფემ, - *სასახლის კარს მოვიხმობ, რათა ჩემი ჯადოსნობები ვუჩვენო!*"

ყალთაბანდი მიხვდა, რომ უკვე განძის მოხვეტისა და გაქცევის ჟამი მოახლოვებულიყო.

"- *სამწუხაროდ, დიდებულო ხელმწიფევ, ეს შეუძლებელია! დამავიწყდა მეთქვა, რომ სწორედ ხვალ შორეულ მოგზაურობაში მივდივარ."*

"- *თუკი ჩემი ნებართვის გარეშე წახვალ, გრძნეულებსა და ჯადოქრებზე მონადირეების ბრიგადასა და ავი ქოფაკების ხროვას გამოგადევნებ! ხვალ ჯადოქრობის აღსრულებაში დამეხმარები, ისე, რომ ჩემი ბატონებისა და ქალბატონების მოწონება დავიმსახურო. ვაითუ დამცინეს, შენთვის თავს უსათუოდ მოვაკვეთინებ!"*

ხელმწიფე გაბრაზებული შევარდა სასახლეში, მარტო დარჩენილი ოსტატი კი ძლიერ შეშინდა. ვეღარაფრით დაუსხლტებოდა ხელმწიფეს ხელიდან, ვერც ვერანაირად დაეხმარებოდა ჯადოქრობაში, რადგან ჯადოქრობისა არაფერი გაეგებოდა.

გაბრაზებული ცანცარას ქოხისკენ დაიძრა, ჩუმად მიიპარა ქოხის სარკმელთან და უცნაური რამ დაინახა. მრეცხავი კუთხეში ჯადოსნურ ჯოხს წმენდდა, იქვე, ხის ვარცლში კი ხელმწიფის საწოლის ზეწრები თავისით ირეცხებოდა. ის მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცი გრძნეული იყო და რაკიღა დავიდარაბაშიც მის გამო გაეხვია, თავიც მისივე საშუალებით უნდა დაეღწია.

- "*ჰეი, დედაბერო,*" - დაუღრიალა მან, - " *შენი ხითხითი*

ძვირად დამიჯდა! თუკი ხელს არ გამიმართავ, დაგაბეზღებ, რომ გრძნეული ხარ და ქოფაკებს დავაგლეჯინებ შენს თავს!" _

მოხუცმა ცანცარამ გაუღიმა და დაარწმუნა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ როგორმე დაგეხმაროო.

შარლატანმაც დაარიგა, ბუჩქებში ჩაიმალე და, როცა მეფე თავისი ჯადოქრობის წარმოდგენას დაიწყებს, მის მაგივრად შენ იჯადოქრეო. მრეცხავი დაჰყაბულდა და ესღა ჰკითხა:

- "*ხელმწიფემ რომ ისეთი შელოცვა წარმოთქვას, რისი კეთებაც მე არ შემიძლია?!"*

ყალთაბანდმა ჩაიცინა.

- " *მერწმუნე, შენი მაგიური შესაძლებლობები ბევრად აღემატება იმ სულელის წარმოსახვას".*_ დაამშვიდა მოხუცი და, საკუთარი გონებამახვილობით ფრიად კმაყოფილი, სასახლეს მიუბრუნდა.

მომდევნო დილას, მთელი სამეფოს დიდებულები და ბანოვანები სასახლის ეზოში შეიკრიბნენ. ხელმწიფე მათ წინ აგებულ სცენაზე ავიდა, გვერდით კი ოსტატი ამოიყენა.

- *"პირველად ამ ქალბატონის ქუდს გავაქრობ!"* - დაიყვირა მან და ერთ - ერთი ბანოვანისკენ მიმრთა თავისი ტოტი. იქვე ბუჩქებში ჩამალულმა ცანცარამაც დაუმიზნა ჯადოსნური ჯოხი იმ ბანოვანს და მისი ქუდი გააქრო. შეკრებილმა საზოგადოებამ ტაშისკვრით დააჯილოდვა ხელმწიფე.

-*"ახლა ცხენს ავაფრენ!"* - დაიძახა და თავის ბედაურს დაუმიზნა ტოტი. ბუჩქებს უკნიდან მოხუცმაც დაუმიზნა ჯოხი ცხენს და ისიც ცაში აიჭრა. მაყურებლები კიდევ უფრო მეტად აღაფრთოვანა ამ სანახაობამ და აღტაცებულებმა შეძახილებით შეაქეს

მგოსანი შიულის ხეოვრებები

ჯადოქარი ხელმწიფე.

- *"ახლა კი..."* - ხელმწიფემ გარშემო მიმოიხედა, რადგან თავში არაფერი მოსდიოდა აზრად. უცებ, ჯადოქრებზე მონადირეების ბრიგადის მეთაურმა მიირბინა.

- "*თქვენო უდიდებულესობავ, დღეს დილით ჩვენმა ქოფაკმა სოკოშხამა შეჭამა და მოკვდა. დიდებულო ხელმწიფევ, სწორედ ის გააცოცხლეთ მაგ ჯოხით!"* მეთაურმა სცენაზე ჯადოქრებზე მონადირე დიდი ქოფაკის გვამი დაასვენა. უგუნურმა ხელმწიფემ ფეხებგაფშეკილ ძაღლს დაუმიზნა ტოტი. ბუჩქებში ჩამალულმა ცანცარამ კი მხოლოდ ჩაიღიმა და ჯოხი არც აუწევია, რადგან მკვდრის გაცოცხლებას ვერანაირი ჯადოსნობით ვერ მოახერხებდა.

ძაღლი რომ არ შეირხა, მაყურებლებმა თავიდან ჩურჩული, მერე კი სიცილი დააყარეს. დაეჭვდნენ, ალბათ, ის ორი წარმოდგენაც უბრალო ოინები იქნებოდაო.

- "*იქით გაიხედეთ, თქვენო უდიდებულესობავ,*" - ანიშნა იმ ბუჩქებისკენ ყალთაბანდმა, სადაც მრეცხავი იმალებოდა. -*" კარგად დავინახე ბოროტი ალქაჯი როგორ ბლოკავდა თქვენს შელოცვებს თავისი ავი ჯადოთი! დაიჭირეთ, როგორმე დაიჭირეთ!"*

ცანცარა ბუჩქებიდან გამოვარდა, ჯადოქრებზე მონადირეების ბრიგადა კი უკან გამოუდგა, ავი ქოფაკების ხროვა აუშვეს და ისინიც დაადევნეს. თუმცა, როგორც კი დაბალ ღობეს მიუახლოვდა, მოხუცი უეცრად გაქრა. ხელმწიფეს, შარლატანსა და მთელ იმ საზოგადოებას, ღობეს მეორე მხრიდან რომ მოსდგონოდნენ, ხმელი და დაღვლარჭნილი ხის გარშემო ყეფა-ყეფით მორბენალი ქოფაკებიღა შერჩათ ხელთ.

- *"ხედ გადაიქცა!"* - აყვირდა შარლატანი და მრეცხავს ისევ ქალად გადაქცევა მოსთხოვა. ვერაფერს რომ გახდა, ხელმწიფეს მიუბრუნდა: -" *მოაჭრევინეთ ხე, თქვენო უდიდებულესობავ, კუდიან დედაბრებს სხვანაირად ვერ დააშინებთ!"*

მგოსანი პიულის ხეობაში

მაშინვე ცული მოიტანეს და ყალთაბანდისა და სხვა შეკრებილთა აღტაცებული შეძახილების თანხლებით ხე მოჭრეს.

თუმცა, მაშინ, როცა კმაყოფილები ისევ სასახლეში ბრუნდებოდნენ, ხითხითი მოესმათ და შეჩერდნენ.

- "*ბრიყვებო!*" - დაიძახა ცანცარას ხმით კუნძმა, რომელიც მოჭრილი ხისგან დარჩენილიყო. - *ვერც ერთ ალქაჯსა თუ ჯადოქარს ვერ მოუსწრაფავთ სიციცხლეს ორად გადაჭრით. თუ არ გჯერათ, სამეფოს უზენაესი გრძნეული გაჩეხეთ და თავად ნახავთ!"*

ბრიგადის მეთაურმა დიდი მოწადინებით აღმართა ნაჯახი, მაგრამ ამ დროს შარლატანი მუხლებზე დაეცა, შეწყალება ითხოვა და თავისი თაღლითობის შესახებ ყველაფერი აღიარა. როცა მას დილეგში ჩასაგდებად მიათრევდნენ, კუნძი უფრო ხმამაღლა ახითხითდა.

- *"ალქაჯის ორად გადაჭრით, სამეფოს საშინელი წყევლა დაატეხეთ თავს!*" - მიმართა კუნძმა შეშინებულ ხელმწიფეს, - *"ამიერიდან, ნებისმიერი უბედურებისას, რასაც კი ჩემს თანამოძმე ჯადოქრებსა და გრძნეულებს შეამთხვევთ, გვერდებში ნაჯახის დარტყმის მსგავს ტკივილს იგრძნობთ. ისე დაიტანჯებით, რომ სიკვდილს სანატრელი გაგიხდებათ!*"

გაიგო რა ეს, ხელმწიფე მუხლებზე დაეცა და კუნძს დაჰპირდა, ახლავე განცხადებას გამოვაკვრევინებ მთელ სამეფოში, რომ ალქაჯებსა და ჯადოქრებზე დევნა შეწყვიტონ და ჯადოსნობაში მშვიდად განსწავლის ნება დართონო.

- "*კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ცანცარასთვის როგორ შეგიძლია ბოდიშის მოხდა?* "- ჰკითხა კუნძმა.

-" *რაც გინდა ის მთხოვე.* "- დაჰპირდა ხელმწიფე.

- " *მაშ, თავზე მისი ქანდაკება დამადგი, საწყალი მრეცხავი ქალის სახსოვრად, ოღონდ ქანდაკება სამეფოს საუკეთესო*

მგლსახი ბიულის ხოცვრები

მოქანდაკეებამ გამომერწონ ბაჯაღლო ოქროსგან. დაე, ამან მუდამდღე შეგახსენოს საკუთარი სიბრიყვე!"

ხელმწიფე მაშინვე დაჰყაბულდა. შემდეგ თავის დიდებულებთან და ბანოვანებთან ერთად, უკან მადევარი კუნძის ხითხითის ფონზე, შერცხვენილი დაბრუნდა სასახლეში.

როცა კი სასახლის ეზო დაცარიელდა, ხის დაგრეხილი ფესვებიდან გამოხტა კარგა ნაპატივები და ულვაშიანი ნაცარა, კბილებში გაჩრილი ჯადოსნური ჯოხით. ცანცარა სკუპ-სკუპით მოშორდა სასახლეს, კუნძის თავს კი ქანდაკება სამუდამოდ შემორჩა. ეს იყო და ეს, ამას იქით ამ სამეფოში გრძნეულები და ჯადოქრები აღარასოდეს დაუსჯიათ.



მგოსანი პიულის ხეოპრეები

ალბერს დამბლდორის

კომენტარი "ნაცარა–ცანცარა და მისი მოხითხითე კუნძზე"

"ნაცარა - ცანცარა და მისი მოხითხითე კუნძის" ამბავი მრავალმხრივ შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე "ნამდვილ" ამბად ბიდლის შემოქმედებაში. მასში აღწერილი ჯადოქრობა თითქმის მთლიანად შეესაბამება ჩვენთვის კარგად ცნობილ მაგიის კანონებს. სწორედ ამ ზღაპრის წაკითხვისას აღმოაჩინა ჩვენმა უმეტესობამ, რომ მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია. ამან ფრიად გაგვაწბილა და დაგვწყვიტა კიდეც გული, რადგან ბავშვობაში მართლაც გვჯეროდა, რომ მშობლები ჩვენს მკვდარ ვირთხებსა თუ კატებს ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით გააცოცხლებდნენ. და თუმცა, უკვე VI საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ბიდლმა ეს ამბავი შეთხზა, ხოლო ჯადოქრებმა ამასობაში უამრავი ხერხი გამოიგონეს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების "მოჩვენებითი" არსებობის შესანარჩუნებლად[13],მაინც ვერ ვიპოვეთ გზები, რითაც გარდაცვალების შემდეგ სხეულსა და სულს კვლავ შევაკავშრებდით. გამოჩენილი ფილოსოფოსი ჯადოქარი ბერტრან დე პენსიზ- პროფონდე თავის სახელგანთქმულ ნაშრომში *"ბუნებრივი სიკვდილის მიმდინარე და მეტაფიზიკური ეფექტების კვლევა, განსაკუთრებულად არსებისა და მატერიის რეინტეგრირების გზების ძიება"* შემდეგს აღნიშნავს:

"შეეშვით ამ საქმეს. მსგავსი რამ არასდროს მოხდება."

ნაცარა-ცანცარას ზღაპარი პირველი ლიტერატურული ჩანაწერია, სადაც ანიმაგუსები მოიხსენიება, რადგან ცანცარა, მეფის მრეცხავი ქალი, ფრიად იშვიათ ჯადოსნობას ფლობდა, რისი საშუალებითაც ნებისმიერ დროს იქცეოდა ცხოველად. ანიმაგუსები ჯადქართა მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. ადამიანიდან ცხოველად გადაქცევის ხელობის სრულყოფილად ათვისებას, ბეჯითი სწავლება და ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება, ამიტომ ალქაჯებისა და ჯადოქრების უმეტესობას ჯადოსნობის სხვა მიმართულების შესწავლაში ურჩევნიათ დროის ხარჯვა. მით უმეტეს, რომ ასეთი ტრანსფორმაცია შეზღუდულია, გარდა იმ

[13] ჯადოქართა გამოსახულება პორტრეტებსა და სურათებზე მოძრავია.მანერის ორიგინალურად შენარჩუნებასთან ერთად პორტრეტებს საუბარიც კი შეუძლიათ.ეს და სილივრუს სარკიდან არეკლილი გამოსახულებები არ უნდა აგვერიოს მოჩვენებებში.მოჩვენებები გამჭვირვალე,მოძრავი და მოაზროვნე,რაღაც მიზეზების გამო სააქაოში დარჩენილი ჯადოქრები არიან.

მგლსანი პილლის ხლაჭრეები

შემთხვევებისა, როცა ჯადოქარს დამალვა ან შენიღბვა აუცილებლად ესაჭიროება. სწორედ ამ მიზნით მაგიის სამინისტრომ დაჟინებით მოითხოვა ანიმაგუსების რეგისტრაცია[14].

მართლა არსებობდა თუ არა მრეცხავი ქალი, რომელსაც ბაჭიად გადაქცევა შეეძლო, ამაზე დღესაც კამათობენ. ბევრი მაგი ისტორიკოსი თვლის, რომ ბიდლმა თავისი გმირი შექმნა ცნობილი ფრანგი ალქაჯის, ლიზეტ დე ლაპინის[15] მიხედვით, რომელსაც 1422 წელს პარიზში კუდიანობაში დასდეს ბრალი. ალქაჯის მაგლი მცველებისდა გასაკვირად, ლიზეტი საკნიდან სიკვდილით დასჯის წინა დღეს უეცრად გაქრა. მოგვიანებით, თავად მცველებს დასდეს ბრალი ალქაჯების გაპარებაში. თუმცა, ვერავინ ამტკიცებს, ლიზეტის უეჭველ ანიმაგუსობასა და საკნის სარკმლის გისოსებში გაძრომას, მაგრამ ლა - მანშის სრუტის იალქნიანი კარდალით გადაკვეთისას ერთი ბაჭია ნამდვილად შეუმჩნევიათ. მოგვიანებით იგივე ბაჭია მეფე ჰენრი VI სამეფო კარზე სანდო მრჩეველი გამხდარა[16]. ბიდლის ზღაპარში აღწერილი მაგლი მეფე ჯადოქრობას უფრთხის, მაგრამ ათვისება მაინც სურს. ოღონდ, ჯადოსნობა, მისი აზრით, მხოლოდ შელოცვებისა და ჯოხის ქნევის ცოდნაა[17]. ის სრულიად ვერ აცნობიერებს მაგიისა და ჯადოქრობის არსს და ადვილად ტყუვდება შარლატნისა და ცანცარას მიერ. ჩვეული მაგლური აზროვნებაა, მიაჩნიათ, რომ მაგიას ყოველგვარი წარმოუდგენელი და შეუძლებელი რამ ძალუძს. ამიტომაც ადვილად იჯერებს, რომ ცანცარა ხის კუნძად იქცა, რომელსაც აზროვნება და ფიქრი შეუძლია. (საგულისხმოა, რომ ბიდლმა ხის კუნძი იმიტომ მოიშველია ზღაპარში, რათა მაგლი ხელმწიფის გულუბრყვილობისთვის ფარდა აეხადა, მაგრამ ამას როდი ჯერდება და იმასაც კი გვეუბნება, რომ ბაჭიად ქცეული ცანცარაც ლაპარაკობდაო. ალბათ, ამ შემთხვევაში, პოეტური თავნებობასთან გვაქვს საქმე; ანდა, უბრალოდ, ბიდლს არასდროს ენახა ანიმაგი და მხოლოდ ყური მოეკრა მათ არსებობაზე. ანიმაგი ცხოველად ქცევისას საუბრის უნარს კარგავს, დამოუკიდებლად ადამიანური გონებისა და აზროვნებას შენარჩუნებისა. სკოლის ნებისმიერმა მოსწავლემ იცის ეს

[14] მაგიისა და ჯადოქრობის სკოლა ჰოგვორტსის ამჟამინდელმა დირექტორმა, პროფესორმა მინერვა მაგკონაგელმა, მთხოვა, ხაზგასმით აღმენიშნა სხვადასხვა გამოკვლევების შედეგად დადასტურებული მტკიცებულება, მისი ანიმაგუსად ყოფნის შესახებ. მაკგონაგელი, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არასოდეს იყენებდა კატად ქცევის შესაძლებლობას. ერთადერთი გამონაკლისი დაიშვა *"ფენიქსის ორდენთან"* დაკავშირებით, როდესაც საიდუმლოდ შენიღბვა სიცოცხლისთვის აუცილებელი იყო.

[15] *Lapin* (ფრანგ.) - კურდღელი (მთარგმნ. შენ.).

[16] შესაძლოა ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ამ მეფე-მაგლის სულიერ აფორიაქებას.

[17] როგორც მაგიის სამინისტროს მიერ, 1672 წელს ჩატარებულმა ძირეულმა კვლევებმა ცხადყო, ჯადოქრად იბადებიან და არა - ხდებიან. იშვიათად, მაგრამ მაინც, არაჯადოქრულ ოჯახებში სრულიად *"შემთხვევით"* ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ჯადოქრობა (თუმცა, ძირფესვიანი დაკვირვების შედეგად, როგორც წესი, აღმოჩნდებოდა, რომ მათ გენეალოგიურ ფესვებში მაინც გვევლინებოდნენ წინაპარი მაგები), მაგრამ მაგლებს ჯადოქრობის ძალა არ შესწევთ. უკეთეს ან უარეს შემთხვევაში, მათ გააჩნიათ თვითწარმოქმნილი, უმართავი მაგიური ენერგია, რომელიც მიიღება ჯადოსნური ჯოხის მეშვეობით, ვინაიდან და რადგანაც, ეს არის ის იარაღი, რომელიც განაგებს ამ ენერგიას, მას შეუძლია დარჩენილი ენერგეტიკული აურის ნაწილის შენახვაც, მისი გამოტყორცნა კი აბსოლუტურად განუსაზღვრელია.
(ცნობები ჯადოსნური ჯოხების შესახებ იხილეთ ასევე *"სამი ძმის ამბის"*კომენტარში.)

მგოსანი შიდლის ხეებში

ფუნდამენტური განსხვავება ანიმაგუსსა და ცხოველად ქცეულს შორის. თორემ ისე, ნებისმიერ ჯადოქარს შეუძლია ცხოველად გადაიქცეს, მაგრამ შედეგად ჯადოსნურ უნარებს დაკარგავს და პირველსაწყის ფორმაში დასაბრუნებლად სხვისი დახმარება დასჭირდება).

მე მგონი, თავისი გმირის ხედ გადაქცევა და მეფის დაშინება, ისეთ ტკივილს მოგაყენებს, როგორც ნაჯახი ხესო, ბიდლს ნამდვილმა მაგიურმა ტრადიციებმა და შემთხვევებმა შთააგონეს. ხეს, რომლისგანაც ჯადოსნურ ჯოხებს ამზადებენ[18], ჯოხის დამაზადებლები მკაცრად იცავენ და ასეთი ხეების მჭრელები ხშირად განიცდიან ხეზე მფლობელების მიერ დადებული დამცავი შელოცვების უარყოფით გავლნებს.

ბიდლის დროს მაგიის სამინისტროს კრუციატუსის წყევლა ჯერაც არ ჰქონდა აკრძალული[19] და ალბათ, ნაცარა სწორედ მისი გამოყენებით დაემუქრა უგუნურ ხელმწიფეს.

---

[18] დაწვრილებითი აღწერა იხილეთ წიგნში *"ზღაპრული ცხოველები.სად ვიპოვოთ ისინი"*.

[19] კრუციატუსის, იმპერიუსისა და ავადა კედავრას წყევლას თავდაპირველად 1717 წელს მიენიჭა მიუტევებლის კლასიფიკაცია და მათი გამოყენების შემთხვევაში დაწესებული იყო სერიოზული სასჯელი.



სამი ძმის ამმავი

Oყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი ძმანი. ერთხელაც ძმები დაკლაკნილსა და უკაცრიელ გზას მიუყვებოდნენ. ბინდბუნდი მოიწევდა. ძმებს წინ მდინარე გადაეღობათ: გასატოპად ღრმა და გადასაცურად სახიფათო. ჯადოქრობაში დახელოვნებულმა ძმებმა ჯოხი გაიქნიეს და საშიშ წყალზე ხიდიც გადაიჭიმა. ნახევარი ხიდი მოიტოვეს რა, წინ ვიღაც პირშებურული აესვეტათ. ეს თავად სიკვდილი გახლდათ.

მგლსახი შიულის ხუთჭრეები

სიკვდილი ძმებს გამოელაპარაკა. პირდაპირ ბოღმა ახრჩობდა, სამი მსხვერპლი როგორ დამისხლტაო (ამ მდინარეში, როგორც წესი, ყველა მგზავრი იხრჩობოდა), მაგრამ ცბიერი ღიმილით შეუქო მგზავრებს ჯადოქრობა და მიუგო, რახან ჩემი თავიდან არიდება შეძელით, გამჭრიახობის გამო სამივეს დაგაჯილდოებთო.

უფროსი ძმა ჩხუბისთავი გახლდათ და ისეთი ძლიერი ჯოხი სთხოვა, როგორიც არასოდეს არავის ჰქონია - ჯოხი, რომლის პატრონსაც ორთაბრძოლაში მუდამ გამარჯვება ეწერა და, როგორსაც სიკვდილის მძლეველი ჯადოქარი იმსახურებდა! სიკვდილი მდინარის პირას მდგარ დიდგულას ხესთან მივიდა, ტოტი მოატეხა, ჯადოსნური ჯოხი შექმნა და უფროს ძმას გადასცა.



მგოსანი პიულის ხეობაში

შუათანა ძმა ქედმაღალი იყო. გადაწყვიტა, კიდევ უფრო დაემცირებინა სიკვდილი და გარდაცვლილთა გამოხმობის ძალა სთხოვა. სიკვდილმა აიღო მდინარის პირას დაგდებული ქვა, შუათანა ძმას უბოძა და უთხრა, ამ ქვას მიცვალებულთა დაბრუნების ძალა ექნებაო.

მერე სიკვდილი მესამე, უმცროს ძმას მიუბრუნდა, შენ რაღას ისურვებო. უმცროსი ძმა უფროსებზე თავმდაბალი და ბრძენი გახლდათ, ამიტომაც არ ენდო პირშებურულ სიკვდილს და სთხოვა, ისეთი რამ მიბოძე ,რაც აქედან ისე წამიყვანს, რომ უკან ვერ გამომყვეო. სიკვდილმაც, თუმცა უხალისოდ და ყოყმანობით, თავისი უჩინმაჩინის მოსასხამი გადასცა. მერე განზე გადგა და ძმებს გზა მისცა. მათაც გზა განაგრძეს. გაოცებულები იყვნენ თავს გადამხდარი ამბით და სიკვდილის გასაოცარი საჩუქრებით.

გამოხდა ხანი და თითოეული ძმა თავ - თავის გზას დაადგა. უფროსმა ძმამ კვირის თავზე იარა ერთ შორეულ სოფელს ესტუმრა, სადაც მისი ნაცნობი ჯადოქარი სახლობდა. იმ ჯადოქართან უწინ ნაჩხუბარი იყო და ახლა ორთაბრძოლაში გამოიწვია. განა დიდგულას ჯოხის პატრონს რა დაამარცხებდა! მტერი უსულოდ დასცა, თვითონ კი ფუნდუკს შეაფარა თავი ღამის გასათევად. იქ ბაქიბუქს მოჰყვა, თვით სიკვდილს წავართვი უძლეველი ჯოხი და ჩემი მომრევიც ქვეყნად არავინაო.

იმ ღამითვე ღვინით გალეშილ მძინარე უფროს ძმას რომელიღაც ჯადოქარი მიეპარა, ჯოხი ააცალა და, თავის დასაზღვევად ყელიც გამოსჭრა.

ასე დაისაკუთრა სიკვდილმა უფროსი ძმა.

ამასობაში კი შუათანა ძმა საკუთარ კერას დაბრუნებოდა. ამოიღო მიცვალებულთა გამომხმობი ქვა და სამჯერ შეატრიალა ხელში. მისდა გასაკვირად და გასახარად, მის წინ იმწამსვე გაჩნდა ქალიშვილი, რომლის ცოლად შერთვასაც აპირებდა, სიკვდილს რომ არ წაერთმია მისი თავი. თუმცა, საიქიოდან დაბრუნებული ქალიშვილი ცივი და სევდიანი იყო და შუათანა ძმისაგან თითქოს საბურველი აშორებდა. მოკვდავთა სამყაროს კი დაუბრუნდა, მაგრამ ბოლომდე სააქაოსაც არ ეკუთვნოდა და ძლიერ იტანჯებოდა. ბოლოს შუათანა ძმა ჭკუიდან შერყევამდეც კი მიიყვანა უიმედო სურვილმა, საცოლეს შეჰხებოდა, და თავი მოიკლა, რათა სატრფოსთან მიახლოვება ამ გზით მაინც შეძლებოდა. ამგვარად დაისაკუთრა სიკვდილმა მეორე ძმაც.



უმცროს კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ წელს დაეძებდა, სიკვდილმა ვერაგზით ვერ იპოვა. უმცროსმა ძმამ მხოლოდ ღრმა სიბერის ჟამს მოიხსნა უჩინმაჩინის მოსასხამი და თავის ვაჟს გადაულოცა. თვითონ კი ისე შეეგება სიკვდილს, როგორც თანასწორ ძველ მეგობარს და სიხარულით გაჰყვა იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

მგოსანი პილიის ხეოპრეპი

ალბუს დამბლდორის

კომენტარი "სამი ძმის ამბავზე"

ამ ამბავმა, რომელიც ბავშვობაში პირველად დედაჩემისგან მოვისმინე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას აქით მოყოლებული, ის მალევე გახდა ზღაპარი, რომლის წაკითხვასაც ძილისწინ ყველაზე ხშირად მოვითხოვდი, რასაც ხშირად კამათამდეც კი მივყავდი ჩემს უმცროს ძმასთან, აბერფორტთან, რომლის საყვარელი ზღაპარიც *"მობუზღუნე გონჯი თხა"* გახლდათ.

"სამი ძმის ამბის" მორალი უფრო აშკარა ვერ იქნებოდა: ადამიანის ნებისმიერი მცდელობა - სიკვდილის თავიდან აცილებისა ან კიდევ მისი დაძლევისა - იმედგაცრუებისთვისაა განწირული. ზღაპარში მესამე, უმცროსი ძმა ("ყველაზე თავმდაბალი და ყველაზე ბრძენი") ერთადერთია, ვინც აცნობიერებს, რომ სიკვდილის კლანჭებისგან მოულოდნელად თავდაღწეულს, საუკეთესო, რისი იმედიც შესაძლოა შეგრჩეს, ესაა სიკვდილთან მორიგი შეხვედრის რაც შეიძლება შორეულ მომავალში გადადება. მან მშვენივრად იცის, რომ სიკვდილთან ჭიდილი - ძალადობით, როგორც უფროსი ძმის, ასევე ნექრომანტიის[20] ბნელ ხელოვნებაში ღრმად შეტოპილი შუათანა ძმის შემთხვევაშია, - ნიშნავს ვერაგ მტერთან გაჯიბრებას, რომლის დამარცხებაც არავის ძალუძს.

სრულ ირონიად გვევლინება ზღაპრის გარშემო შექმნილი ლეგენდა, რომელიც უშუალოდ ეწინააღმდეგება ორიგინალის დედააზრს. ლეგენდის თანახმად, საჩუქრები, რომლებიც სიკვდილმა უბოძა ძმებს: - უძლეველი ჯოხი, ქვა, რომელსაც მიცვალებულთა სულების გამოხმობა შეუძლია და უჩინმაჩინის უცვეთელი მოსასხამი, - ნამდვილი ნივთებია, რომლებიც ამ სამყაროში რეალურად არსებობს. ლეგენდა უფრო შორსაც კი მიდის: თუ ვინმე სამივე ნივთს დაეპატრონება, მაშინ ის გახდება, არც მეტი, არც ნაკლები, "სიკვდილზე ზემდგომი", რასაც მიიჩნევდნენ, როგორც ხელშეუხებლობად, უვნებლობად და უკვდავებადაც კი.

შესაძლოა, სევდანარევი ღიმილი მოგგვაროთ კიდეც იმის გაცნობიერებამ, რომ მოარული ლეგენდა პირდაპირ ჰუმანური ბუნების ამსახველია. ალბათ, ყველაზე კეთილი და დროული ინტერპრეტაცია იქნებოდა *"იმედი ბოლოს კვდება*[21]". მიუხედავად იმისა, რომ სამი საჩუქრიდან ორი საკმაოდ სახიფათოა და, რომლის ფონზეც მკაფიოდ იკვეთება აზრი, რომ ადრე თუ გვიან სიკვდილი ყველას მოგვადგება კარს, ჯადოქართა უმცირესობას სწამს, რომ მგოსანმა ბიდლმა ჩვენ დაგვიტოვა სპეციალური, დაშიფრული შეტყობინება, სრულიად საპირისპირო იმისგან, რასაც ქაღალდზე ვკითხულობთ და აქვე ამატებენ კიდეც, რომ მხოლოდ

[20] ბნელი ხელოვნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიხმოთ საიქიოდან მიცვალებულთა სულები. როგორც ამ ზღაპრიდან ჩანს, მაგიის ამ სახეობას არასოდეს მოჰქომდა სასურველი შედეგი.

[21] ეს ციტატა კარგად მოწმობს იმას, რომ ალბუს დამბლდორი არამარტო მაგიურ ლიტერატურაში იყო განსწავლული, არამდე კარგად იცნობდა მაგლი პოეტის, ალექსანდრე პოუპის შემოქმედებასაც.

მგოსანი პიოლოის ხოსპრეები

მათნაირი ჭკუის პატრონს შეუძლია მისი გაშიფვრა. მათი თეორია (ალბათ, უფრო ზუსტი განმარტება "იმედგაცრუება" იქნებოდა) როდი მტკიცდება ჭეშმარიტი სამხილებით. უჩინმაჩინის მოსასხამი ჩვენს სამყაროში, მართლაც რომ საორჭოფოა, არსებობდეს.

აღსანიშნავია, რომ სამი ძმის ამბავი მოგვითხრობს "სიკვდილის მოსასხამის" საოცრად გამძლე ბუნების შესახებ[22], რაც ნათლად დასტურდება ბიდლის მოღვაწეობის ეპოქასა და თანამედროვეობას შორის განვლილ დროზე. აქამდე არავის უღიარებია ამგვარი მოსასხამის პოვნა და მასზე პატრონობა. ჭეშმარიტი მორწმუნენი კი ამგვარად ხსნიან ამ ფაქტს: *"ან უმცროსი ძმის შთამომავლებმა არ იციან საიდან აქვთ უჩინმაჩინის მოსასხამი, ანდა იციან და ამას საქვეყნოდ არ აფიშირებენ, რადგან იჩენენ იმ სიბრძნეს, როგორიც მათ დიდებულ წინაპარს შეეფერებოდა."*

ბუნებრივია, ქვაც არასოდეს უპოვიათ. როგორც უკვე აღვნიშნე ზღაპრის *"ნაცარა - ცანცარა და მისი მოხითხითე კუნძი"* კომენტარებში, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვწევს ძალა მიცვალებულთა გაცოცხლებისა და ამასთანავე, ყველა მიზეზი გვაქვს მივიჩნიოთ, რომ ეს არც არასოდეს მოხერხდება.

ბნელმა ჯადოქრებმა, რაღა თქმა უნდა, სცადეს და შექმნეს კიდეც ინფერიუსები[23], რომლებიც სინამდვილეში საზარელი მარიონეტები არიან და არავითარი კავშირი აქვთ მკვდრეთით აღმგარი მოკვდავებთან.

საგულისხმოა, რომ ბიდლის ამბავი აშკარა ნათელს ჰფენს იმასაც, რომ შუათანა ძმის სატრფო ნამდვილად არ მობრუნებულა საიქიოდან. ის თავად სიკვდილის მეუფემ გამოგზავნა, რათა შუათანა ძმა თავის კლანჭებში მოემწყვდია და სწორედ ამიტომ გახლდათ გამოხმობილი გოგონა ცივი და სევდიანი, გამჭვირვალე, გაჩხერილი სააქაოსა და საიქიო სამყაროს შორის[24].

ახლა კი მივხედოთ ჯადოსნურ ჯოხს. აქ, ბიდლის ფარული შეტყობინების მორწმუნეთ რაღაც ისტორიული მასალა მაინც უჩნდებათ, თავიანთი საღ აზრს მოკლებული ცნობების გასამყარებლად. (სავსებით შესაძლებელია, რომ მათ სურდათ დიდება, ისევე, როგორც თავდამსხმელთა დაფრთხობა ან სულაც, მართლაც სჯეროდათ იმის, რასაც ასე თავგამოდებით მოძღვრავდნენ - გამორიცხული არაფერია).

საუკუნეთა მანძილზე არაერთი ჯადოქარი იჩემებდა ამ ჯადოსნური ჯოხის ფლობას, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივზე ბევრად ძლიერი იყო, "უძლეველიც" კი. ზოგიერთი მათგანი ისე შორს წავიდა, რომ აცხადებდა,

[22] უჩინმაჩინის მოსასხამები სულაც არ არის უნაკლო. ისინი იხევა და სიძველისაგან ცვთება კიდეც. მათში ჩანერგილი ჯადოქრობა კი დროთა განმავლობაში სუსტდება და შესაძლოა ნეიტრალიზირებულიც კი იქნას შელოცვისაგან. ამიტომ ალქაჯები თუ ჯადოქრები შესანიღბად ხშირად მიმართავენ დეილუზიონირების შელოცვას. როგორც ცნობილია, ალბუს დამბლდორს შეეძლო შეესრულებინა დეილუზიონირების რამდენიმე შელოცვა, რისი წყალობითაც ყოველგვარი მოსასხამის გარეშე ხდებოდა უხილავი.

[23] ინფერიუსები - გვამები,რომლებიც სიცოცხლეს ბნელი მაგიის წყალობით დაუბრუნდნენ.

[24] ბევრი გამომგონებელი მიიჩნევს, რომ ბიდლი ქმნიდა ქვას, მიცვალებულთა გამაცოცხლებელს, ანუ ფილოსოფიული ქვის ანალოგს, რომლის დახმარებითაც ამზადებდნენ უკვდავების მომნიჭებელ სიცოცხლის ელექსირს.

მგოსანი პილპილის ხეოვრება

თითქოს საკუთარი ჯადოსნური ჯოხი, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ დიდგულას ხისგან იყო დამზადებული. ასეთ ჯოხს დროთა განმავლობაში არაერთი სახელი ეწოდა, მათ შორის "ბედისწერის ჯოხი","სიკვდილის კვერთხი" და მრავალი სხვ.

გასაკვირი სულაც არაა, ცრუ - რწმენები რომ წარმოიშვა ჯადოსნური ჯოხების გარშემო, ბოლოს და ბოლოს, ეს უკანასკნელები ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღებია.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ჯოხი (და მათი მფლობელები) გარკვეულწილად შეუთავსებელიც კი არის ერთმანეთთან:

"როდესაც მამაკაცის ჯოხი მუხის ხისგანაა დამზადებული, ხოლო ქალის - ბაძგისგან, მაშინ მათი ქორწინება უბრალოდ სისულელეა."

ჯადოსნური ჯოხები აგრეთვე კარგად მოწმობს მათი მფლობელის პიროვნულ ნაკლს:

ჭნავის ხისგან დამზადებული ჯოხის მფლობელი ჭორიკანაა ,

წაბლის - მუქთახორა, იფნის - ჯიუტი, თხილის - მკვნესარე.

რა თქმა უნდა, ამ დაუსაბუთებელი ახსნა - განმარტების კატეგორიაში აუცილებლად გადავეყრებით:

"დიდგულას ჯოხის მფლობელი მუდამდღე წარუმატებელია".

ალბათ, იმიტომ, რომ ბიდლის ზღაპარში თავად სიკვდილმა ხელთქმნა ეს ჯოხი დიდგულას ხისგან, ან შესაძლოა იმის გამოც, რომ ბევრი ხარბი, ძალაუფლებას მოწყურებული ჯადოქარი, დიდგულას ხის „ნაყოფს“ ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ეს მცენარე სულაც არ არის პოპულარული ჯადოსნური ჯოხების დამამზადებელ ოსტატთა შორის.

პირველი დოკუმენტური დადასტურება დიდგულას ჯოხის განსაკუთრებული სიძლიერისა და სახიფათო თვისებების შესახებ, ეკუთვნის ემერიკს, ჩვეულებრივ, "გულღრძოდ" წოდებულს. ამ ჯადოქარმა წუთისოფელში მცირე ხანს დაჰყო, თუმცა აქტიური ცხოვრებით იცხოვრა. მრუმე შუა საუკუნეებში მთელი სამხრეთ ინგლისი შიშის ქვეშ ჰყავდა. დაიღუპა ისევე, როგორც ცხოვრობდა - ვინმე ჯადოქარ ეგბერტთან სასტიკ ბრძოლაში. თავად ეგბერტის ბედი დღემდე გაურკვეველია, თუმცა საგულისხმოა, რომ შუა საუკუნეებისდროინდელ დუელში მონაწილეთა სიცოცხლის ხანგრძლივობა სიდიდით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა. მანამ, სანამ მაგიის სამინისტრომ უშუალოდ არ მიიღო შეზღუდვის ბრძანებულება ჯადოქრობის გამოყენებაზე - დუელში მონაწილე ერთ - ერთი პირი ყოველთვის იღუპებოდა.

მას შემდგე ასწლეულმა განვლო, როცა ერთ - ერთმა, არც თუ საინტერესო პერსონამ, სახელად გოდელოტმა, შეიტანა პირადი წვლილი ბნელი მაგიის განვითარებაში. მან შეადგინა ნუსხა იმ სახიფათო შელოცვებისა, რაც კი ჯადოსნური ჯოხის დახმარებით განხორციელებულა. პირად ჩანაწერებში ის აღნიშნავს: *"ბოროტი თანამგზავრი და ვერაგი მეგობარი, რომლის სხეულიც დამზადებულია ანწლის ხისგან*[25]*,*

[25] დიდგულას ხის ძველი სახელწოდება.

მგოსანი პიერის ხოცვრეპი

უძლიერესი მაგიური მზაკვრობის საშუალებაა.“ (ფრაზა *"უძლიერესი მაგიური მზაკვრობა"* გოდელოტის ყველაზე ცნობილი ნაწარმოების სათაურია).

როგორც ჩანს, გოდელოტი თავის ჯადოსნურ ჯოხს სერიოზულ დამხმარედ მიიჩნევდა. ჯადოქართა ამ იარაღში გათვითცნობიერებული[26] დამეთანხმება, რომ ჯოხი ნამდვილად იწოვს მფლობელის ცოდნას, თუმცა ეს პროცესი განუსაზღვრელი და სრულყოფილი როდია. იმის შესაფასებლად, სრულყოფილად გადაეცემა თუ არა კონკრეტული მაგის ცოდნა ჯოხს, უნდა გავითვალისწინოთ არაერთი ფაქტორი ,თუნდაც ურთიერთდამოკიდებულება ჯოხსა და მის მფლობელს შორის. ცხადია, რომ ჯოხმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გადაეცემოდა ერთი მრუმე ჯადოქრიდან - მეორეს, დაილექა ყველაზე სახიფათო მაგიის სახეობანი.

კუდიანები თუ ჯადოქრები, როგორც წესი, ყველაზე მეტად ანიჭებენ უპირატერობას იმ ჯოხს, რომელმაც თითოეული მათგანი "შეარჩია" და არა - ისეთს, რომელიც წარსულში ვინმეს ეკუთვნოდა, რადგან ჯოხის მიერ ათვისებული ჩვეულებანი შესაძლოა, მომავალი მფლობელისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდეს. წესი - ჯადოსნური ჯოხის დასამარება თავის პატრონთან ერთად (ან სულაც, დაწვა) არ აძლევს ამ იარაღს საშუალებას, რომ ხელიდან ხელში მორჩილად გადავიდეს. თუმცა, მათი აზრით, ვისაც ჯერა დიდგულას ჯოხის, ამ ჯოხს არასოდეს დამარხავდნენ და, მით უმეტეს, არც დაწვავდნენ, რადგან ახალი მფლობელი ძველი პატრონის დამარცხების შემდეგ ხელში მალევე იგდებდა ამ უკანასკნელს. აი, რატომ დაისადგურა მასში არაჩვეულებრივმა სიბრძნემ და დიადმა ძალაუფლებამ.

როგორც ცნობილია, გოდელოტმა სიცოცხლე სარდაფში დაასრულა, სადაც ის სიცოცხლეს ღვიძლმა შვილმა, შეშლილმა ჰერევარდმა გამოასალმა. შესაძლოა, სწორედ ჰერევარდს წაერთმია მამამისისთვის ჯადოსნური ჯოხი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გოდელოტი გაქცევას უთუოდ შესძლებდა. რა უყო ჰერევარდმა ჯოხს, ეს ჩვენთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ XVIII საუკუნეში გამოჩნდა ჯადოქართა იარაღი, რომლის პატრონიც ვინმე ბარნაბას დეევერილი, "დიდგულას კვერთხად[27]" წოდებული ჯოხის მფლობელი გახლდათ, რომლის წყალობითაც დეევერელმა შეძლო დიდებისა და ულმობელი გრძნეულის სახელის მოხვეჭა, მაგრამ, საბოლოოდ, იგი სიცოცხლეს გამოასალმა არანაკლებ სახელმოხვეჭილმა ლოქსიასმა. ჯოხი, შესაბამისად, ამ უკანასკნელმა იგდო ხელთ და სახელიც კი შეურჩია: "სიკვდილის კვერთხი", რომლის წყალობითაც ანადგურებდა ყველას, ვისაც კი ზედმეტად მიიჩნევდა.

ამ ჯოხის მომავლი შემგომში ისევ ბურუსმა მოიცვა. ძალიან ბევრი ამტკიცებდა (მათ შორის ლოქსიასის დედაც), რომ თავად ლოქსიასს ბოლო სწორედ იმათმა მოუღეს. ამ საკითხის დაკვირვებით შესწავლისას ვამჩნევთ, რომ

[26] მაგალითად, თქვენი მონა - მორჩილი._**ჯ.კ.რ.**_

[27] აგრეთვე ძველი სახელწოდება დიდგულას ხისა.

თითოეული ჯადოქარი, რომელიც თავს დიდგულას ჯოხის ბატონ - პატრონად თვლიდა[28] და მიიჩნევდა მას დაუმარცხებლად, აცნობიერებდა, რომ თავად ეს ჯოხი საოცარი სისწრაფით იზიდავდა უსიამოვნებებს, ისევე როგორც მობუზღუნე გონჯი თხა - ბუზებს. საბოლოოდ, ეს ცხადყოფს იმ სიმართლეს, რომელშიც არაერთხელ დავრწმუნდი, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების ჟამთასვლისას. მოკვდავები ისწრაფვიან იმისკენ, რაც მათთვის ყველაზე ცუდია. მოკლედ, ჩვენ შორის ვისაც ძალუძს, აირჩიოს სიკვდილის საჩუქრებიდან ნებისმიერი, მოიქცეოდა თუ არა ისე, როგორც უმცროსი ძმა?

ჯადოქრებიც და მაგლებიც თანაბრად ილტვიან ძალაუფლებისკენ. განა ბევრი აღუდგებოდა წინ "ბედისწერის ჯოხს"? მან, ვინაც დაკარგა საყვარელი ადამიანი, შეძლებდა კი გამკლავებოდა მიცვალებულთა გამომხმობი ქვის ცდუნებას? მეც კი, ალბუს დამბლდორი, ყველაზე ადვილად შევძლებდი, უარი მეთქვა უჩინმაჩინის მოსასხამზე, რაც იქნებოდა პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ სინამდვილეში მეც ისეთივე სულელი ვარ, როგორც სხვები.

[28] არც ერთ ჯადოქარ ქალს არ განუცხადებია, რომ ფლობდა დიდგულას ჯოხს. აქედან დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდია.

მგლსანი პილლის ხლაჭრეები

მთარგმნელისაგან

წინამდებარე წიგნის ქართულ ვერსიას, რომლის თარგმნაც ემსახურებოდა არაკომერციულ მიზნებს, ვუძღვნი ვინმე *ლოლა*-ს, რომელმაც მაპოვნინა საუკეთესო გამოსავალი აბიტურიენტობის „უნარული“ ლაბირინთიდან.